2 726/ 8492

ჩვენი საშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 17 (322) გამოცემის მე-17 წელი

1973 წლის სექტემბერი

საქართველოს მუშები თანამედროვე საბჭოთა მუშათა კლასის ღირსეული რაზმია.

ლეონიდ ბრეჟნევი

□ □

საქართველოს ქვანახშირი ხალხის სამსახურში

ჩვენი საშობლოს წიაღისეული სიმდიდრენი შორეულ წარსულშივე იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას, მაგრამ მისი შესწავლა შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ წაშინდელი ხელისუფალნი წიაღისეულის გეოლოგიური დაზვერვისათვის საჭირო თანხებს არ გამოყოფდნენ და საქართველოში სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალიზმის შემოჭრისას ეს დიდი სახელმწიფოებრივი საქმე კერძო საქმოსნების ხელში აღმოჩნდა. ამრიგად, საქართველოს წიაღისეულის შესწავლა, ბუნებრივია, მეცნიერულ საფუძველზე არ იდგა და ქვანახშირის საბადოების აღმოჩენა ძირითადად ადგილობრივი სოფლების მცხოვრებთა ან შემთხვევითი პირების სარჯზე ხდებოდა, რომლებიც ან მონადირენი იყვნენ, ანდა მწყემსები.

საქართველოს გეოლოგიური აგებულების მეცნიერული შესწავლა რუსმა აკადემიკოსმა გ. აბიხმა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. ეს ის პერიოდია, როცა 1868 წელს თბილისში ჯავახიის სამთო სამმართველო შეიქმნა. ამასთან, ჩვენმა თანამემამულემ ინჟინერ-გეოლოგმა გ. წულუკიძემ, სხვა გეოლოგებთან ერთად, ცალკეული რაიონების მიხედვით, საქართველოს სასარგებლო წიაღისეულთა გეოლოგიური რუკის შედგენა დაიწყო, მაგრამ უსახსრობის გამო რუკაზე აღნიშნული საბადოების დაზვერვა არ მოხერხდა.

საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ისტორიაში ცნობას ტყიბულის ქვანახშირის ბუდობის შესახებ პირველად 1830 წელს ვხვდებით, ხოლო უფრო ზუსტი ცნობა 1845 წლიდან გვაქვს. აქ ნახშირის მოპოვება ამავე წელიწადს პრიმიტიული წესით დაიწყო. ამოღებული ქვანახშირი ურმებით გადაჰქონდათ. ეს იყო საქართველოში ქვანახშირის მრეწველობის განვითარების დასაწყისი.

ქვანახშირის მრეწველობის მეცნიერულ საფუძველზე განვითარება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო. საბჭოთა გეოლოგებმა შეისწავლეს და დაუსტეს საქართველოს ქვანახშირის საბადოები, რასაც მოჰყვა ქვანახშირის ინდუსტრიული წესით ამოღება.

საქართველოს მშრომელები ყოველწლიურად ზეიმით აღნიშნავენ მეშახტის დღეს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ვალერიან ვადაჭკორიას რამდენიმე შეკითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა ბიორგი გოჩიტაშვილმა.

● — პატივცემულო ვალერიან, რას გვეტყოდით საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ?

— საქართველოს ქვანახშირის მრეწველობა დღეს თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე დგას. მაღაროებში ფართოდ დაინერგა და კვლავაც ინერგება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. დიდი ზანია წავიდა ის დრო, როცა ნახშირის ამოღებაში გადამწყვეტ როლს წერაქვი ასრულებდა და მეშახტე მძიმე, არაადამიანურ შრომას ეწეოდა. დღეს საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში გამოიყენება მექანიზაცია და სპეციალური სამთო კომბაინები.

ამჟამად საქართველოს მეტალურგიული და ენერგეტიკული მრეწველობის მოთხოვნილებას ძირითადად ადგილობრივ მოპოვებული ქვანახშირი აკმაყოფილებს. კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მეურნეობებშიც ჩვენი შახტებიდან მოპოვებული ქვანახშირი არის გამოყენებული.

● — შრომისა და დასვენების რაგვარი პირობები აქვთ ჩვენს მეშახტეებს?

— შახტებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის ფართოდ გამოყენებამ მუშა მძიმე ფიზიკური შრომისაგან გაათავისუფლა და ეხლა შახტებში შრომა უფრო იოლი გახდა. თითოეული მუშის თვიური-საშუალო გამომუშავება 200 მანეთს აღწევს. ამასთან, იგი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემიის სახით დამატებით ანაზღაურებას იღებს.

ტყიბული და ტყვარჩელი მშვენიერ სამრეწველო ქალაქებად გადაიქცნენ. საქართველოს მეშახტეებს ყოველ წელიწადს 10.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადაეცემათ და შახტების მუშათა დიდი ნაწილი კეთილმოწყობილ ბინებში ცხოვრობს.

მეშახტეთა დაბები და ქალაქები უზრუნველყოფილი არიან კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის ქსელით, საყოფაცხოვრებო მომსახურებითა და ყველა იმ სიკეთით, რითაც სარგებლობენ თანამედროვეობის დიდი სამრეწველო ქალაქები.

თავისუფალ დროს მეშახტეები არა მარტო თავიანთი კულტურის სახლებში, კინოთეატრებსა თუ სასპორტო მოედნებზე ისვენებენ, არამედ შედავათიან ფასებში ეძლევათ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები.

● — ქვანახშირის მრეწველობის სწორად დაგეგმვისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის რა სიახლეები არის დანერგილი?

— შექმნილია კომბინატი „საქნახშირი“, რომელშიც ქვანახშირის ყველა მომპოვებელი წარმოებაა გაერთიანებული. შეიქმნა აგრეთვე ტყვარჩელქვანახშირის სამრეწველო გაერთიანება.

ქვანახშირის მრეწველობის მართვის ორგანოების გამსხვილებამ შეამცირა სამმართველო აპარატის ხარჯები, გაუმჯობესა დაგეგმვისა და ტექნიკურ-ორგანიზაციულ სამუშაოთა ხარისხი. გაუმჯობესდა საწარმოთა მომარაგება, კადრების შერჩევა-განაწილება, რის შედეგადაც საწარმოო ძალები და საშუალებანი უფრო მაღალმწარმოებლურად გამოიყენება.

● — ცხადია, ტექნიკურმა პროგრესმა მაღარობებში სამუშაოდ კვალიფიციური კადრები მოითხოვა, როგორ დგას ამ კადრების მომზადების საქმე?

—სამთამადნო მრეწველობისათვის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხოლო საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს — ჭუთაისის სამთო ტექნიკუმი ამზადებს.

შახტებისათვის საჭირო ელექტროშეინკლების, მექანიკოსებისა და სხვა სპეციალობის კვალიფიციური მუშაკების მოსამზადებლად ტყიბულში პროფტექნიკური სკოლა მუშაობს.

● — ხომ ვერ დაგვისახელებთ მოწინავე მუშებს?

— ისინი ძალზე ბევრნი არიან. მაგალითად, შახტის წევნდითი სანგრევის მუშები გურამ ცირეკიძე, ილია გუდაძე, გვირაბგამყვანები რაჟდენ აჩბა, ვლადიმერ აკაბა და სხვები, რომლებიც სამუშაოთა ყოველდღიურ ნორმას 110-115 პროცენტით ასრულებენ და ყოველ წელიწადს, გეგმის გადამეტებით, ათასობით ტონა ქვანახშირს აძლევენ სამშობლოს.

ყველა მოწინავე მუშის სახელისა და გვარის ჩამოთვლა შეუძლებელია, ქართველ მეშახტეთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი ყოველთვის გამოირჩევა საქმისადმი ერთგულებით და დიდი ენთუზიაზმით, ერთ-ერთი მოწინავე რაზმია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიზანდასახულობათა მაღალ დონეზე განხორციელების საქმეში, რითაც გათვალისწინებულია ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება.



ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ბრძანებულება

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის წოდება მიენიჭოს ამხანაგ ლეონიდ ილიჩ-ძე ბრეჟნევს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის მებრძოლს, განსაკუთრებული დამსახურებისათვის ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარებაში, განმტკიცებასა და გაღრმავებაში და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, აქტიური მონაწილეობისათვის პიტლერული ფაშიზმის განადგურებასა და ხალხთა განთავისუფლებაში, პირადი წვლილისათვის კომუნიზმის მშენებლობაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური გენერალური ხაზისა და საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, დაუცხრომელი მოღვაწეობისათვის სოციალისტური თანამეგობრობის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის რიგებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შეკავშირებისათვის, საყოველთაო მშვიდობის, ხალხთა თანამშრომლობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის შარჯსწმ ლენინიზმის იდეების გასამარჯვებლად.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს
თავმჯდომარე **ტ. ჟივკოვი**

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს
მდივანი **მ. მინჩევი**

სოფია, **1973 წლის 6 სექტემბერი.**

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის კ. კ. მარჯანიშვილისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მათემატიკური მეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისა და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მარჯანიშვილს** მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს **ლენინის ორდენი** და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, **1973 წ. 28 აგვისტო.**

გამოჩენილი მათემატიკოსი

ჩვენი დიდი თანამემამულის, საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დიდოსტატის რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის ვაჟიშვილი — კონსტანტინე მარჯანიშვილი გამოჩენილი საბჭოთა მათემატიკოსია. მას 70 წელი შეუსრულდა და, როგორც ვხედავთ, საბჭოთა მთავრობამ ჯეროვნად დააფასა მისი ღვაწლი — მიანიჭა მას სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

ეს ცნობა, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, დიდად სასიამოვნოა ყველასათვის, ვინც იცნობს პროფესორ კონსტანტინე მარჯანიშვილს, საჭიროა იგი საქართველოს მშრომელებისათვის.

პროფესორ კონსტანტინე მარჯანიშვილის ძირითადი სამეცნიერო შრომები ეძღვნება ანალიტიკურ რიცხვთა თეორიის ცენტრალურ და ურთულეს პრობლემებს. ეს შრომები მუდამ მაღალ შეფასებას იმსახურებდნენ.

როგორც ცნობილია, რიცხვთა თეორიის საბჭოთა სამეცნიერო სკოლა მსოფლიოში მოწინავე, ფუძემდებლურ სკოლად არის აღიარებული. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სკოლის ამ მაღალი რეპუტაციის დამკვიდრებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ჩვენს თანამემამულეს. მაგრამ კონსტანტინე მარჯანიშვილის დამსახურება კიდევ უფრო აამაღლა შემდგომმა გარემოებამაც: რიცხვთა თეორია მიეკუთვნება აბსტრაქტული მათემატიკის ისეთ დარგებს, რომლებიც რამდენადმე შორს დგანან უშუალო გამოყენების მოთხოვნებისაგან. პროფესორმა მარჯანიშვილმა კი, გაითვალისწინა რა ჩვენი ქვეყნის აღორძინების პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა მათეტიკის გამოყენებითი დარგებისა და მისი საშუალებით ტექნიკის პრობლემების გადაჭრისა, ხელი მოჰკიდა მისთვის ამ ახალ დარგს, და აქაც მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო.

ამასთან დაკავშირებით იგი სხვადასხვა დროს იყო მთელი რიგი სამეცნიერო ლაბორატორიების ხელმძღვანელი და მეთაურობდა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას.

უნდა აღინიშნოს პროფესორ კონსტანტინე მარჯანიშვილის როლი როგორც ნიჭიერი ორგანიზატორის და ხელმძღვანელისა მოსკოვის სტეკლოვის სახელობის ცენტრალური მათემატიკური ინსტიტუტის ცხოვრებაში. დიდი ხნის განმავლობაში იყო იგი ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და თავისი დიდი მასწავლებლის, გამოჩენილი მათემატიკოსის აკადემიკოს ი. მ. ვინოგრადოვის თანამშრომელი.

გულითადად მივესალმები ღირსეულ თანამემამულეს და კოლეგას და მივუსურვებ მაღალ ჯილდოს.

ვუსურვებთ მას დღეგრძელობა და ახალი წარმატებები თავის დიდ მეცნიერულ მოღვაწეობაში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

აკადემიკოსი
ვიქტორ კუპრაძე

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდნენ:

ნიკოლოზ პეტრეს ძე ვეკუა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, დაბადების 60 წელთან დაკავშირებით.

ნიკოლოზ ვასილის ძე გაბაშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დაბადების 70 წელთან დაკავშირებით.

ილია იორდანეს ძე მირცხულავა — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დაბადების 60 წელთან დაკავშირებით.

სერგო ზაქარიაძის ფოსაგრნებლად

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის სერგო ზაქარიაძის ნიჭის ბევრმა თაყვანისმცემელმა მოიყარა თავი მოსკოვის მსახიობის ცენტრალური სახლის დარბაზში, სადაც დედაქალაქის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო სრულმეტრაჟიან ფილმ „სერგო ზაქარიაძის“ შემქმნელ კოლექტივს. ფილმი შეიქმნა საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიაში. დამდგმელი რეჟისორია დიმა ბათიაშვილი...

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა გიორგი ალექსანდრეს ძე ტოვსტონოგოვმა.

ქართველი მხატვრის გამოფენა

ახალგაზრდა მხატვრის ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევრებს უკვე კარგად იცნობენ მოსკოვში. 1972 წელს მხატვარმა მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა ფუნჯის ოსტატების საკავშირო გამოფენაში, რომელიც მოსკოვში ჩატარდა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. წელს ჟურნალ „სმენას“ ინიციატივით მოეწყო ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა ჯერ კომბინატ „პრავდის“ შენობაში, მერე კი ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში.

საკავშირო პრემია

სასიხარულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული დრამატურგიის საკავშირო დათვალიერებაში სოხუმის ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზურმა დასმა, რომელმაც დადგა უკრაინელი კლასიკოსის ლესია უკრაინკას „ტყის სიმღერა“, მიიღო მეორე საკავშირო პრემია და 2500 მანეთი ფულადი ჯილდო.

მიღებულია აგრეთვე დეპეშა საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროსაგან, რომელშიც აფხაზურ თეატრს ულოცავენ ამ შემოქმედებითს გამარჯვებას.

თბილისის სტუმრები

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

30 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შალვა კიკნაძემ მიიღო ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ჯოსეფ კენდალი, რომელიც თბილისში იმყოფებოდა. კენდალთან ერთად იყო ფირმა „პეპსიკო ინკის“ განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი მაიკლ ლვოვი.

შალვა კიკნაძესა და ჯოსეფ კენდალს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება ჩაის, ღვინისა და რესპუბლიკის კვების მრეწველობის სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოებას.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრი ვოლოდმარ ლეონი, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი ადოლფ ხუროძე, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში რაფიელ ელიგულაშვილი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მიქელაძე, რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის წევრი გურამ ოყროშიძე.

ჯოსეფ კენდალი ეცნობა თბილისს

ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ჯოსეფ კენდალმა ფირმა „პეპსიკო ინკის“ განყოფილების ვიცე-პრეზიდენტის მაიკლ ლვოვის თანხლებით 30 აგვისტოს დაათვალიერა თბილისის კვების მრეწველობის საწარმოები. იგი ეწვია შამპანური ღვინოების ქარხანასა და კონიაკის ქარხანას. ჯოსეფ კენდალმა, რომელიც ფირმა „პეპსიკო ინკის“ მეთაურია, ინტერესი გამოიჩინა ღვინოების წარმოების ტექნოლოგიისადმი, ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისადმი.

სტუმარს შესთავაზეს დაეგემოვნებინა შამპანური და კონიაკი. ჯოსეფ კენდალმა მაღალი შეფასება მისცა მშრალ ღვინოებს და აღნიშნა, რომ ქართული კონიაკები სხვა კონიაკებისაგან გამოირჩევა ფაქიზი ბუკეტით, ნაზი და ჰარმონიული გემოთი.

ჯოსეფ კენდალთან ერთად შამპანური ღვინოების ქარხანას კონიაკის ქარხანას ეწვივნენ საკავშირის კვების მრეწველობის მინისტრი ვოლოდმარ ლეონი და სხვა ოფიციალური პირნი.

ნაშუადღევს ჯოსეფ კენდალმა დაათვალიერა მცხეთის არქიტექტურული ძეგლები, იყო მინისის ძველ და ახალ რაიონებში, სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის სახლ-ლოსნოში.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ჯოსეფ კენდალის პატივსაცემად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის სახელით გაიმართა სადღ

ჯოსეფ კენდალის ინტერვიუ

საქინფორმის კორესპონდენტმა ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ჯოსეფ კენდალს სთხოვა გაეზიარებინა აზრი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის განვითარების პერსპექტივების თაობაზე.

— პოლიტიკური კლიმატის დათბობამ, რომელიც ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის შეხვედრის შემდეგ, ხელმოწერილმა შეთანხმებებმა, — თქვა ჯოსეფ კენდალმა, — ყველაზე ხელსაყრელი წანამძღვრები შექმნეს ჩვენს ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებისათვის.

შეეხო რა ახლახან ყირიმში გამართულ საუბარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლეონიდ ბრეჟნევთან, ჯოსეფ კენდალმა განაცხადა, რომ საუბრის დროს გამოითქვა მისწრაფება ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ვაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებისადმი.

ამერიკის შეერთებული შტატების საქმიან წრეებში, თქვა შემდეგ ჯოსეფ კენდალმა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი სსრ კავშირთან ვაჭრობისადმი. საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს დავრწმუნდი, რომ თქვენს ქვეყანას არის ბევრი საქონელი, რომელზეც, უეჭველია, მოთხოვნა იქნება ამერიკის ბაზარზე. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენც შეგვიძლიან შევთავაზოთ საბჭოთა კავშირს ისეთი სახეობის პროდუქცია, რომელსაც ფართო მომხმარებელი ეყოლება თქვენთან. ვფიქრობ, კერძოდ, რომ შეგვიძლიან ვიყიდოთ ქართული ღვინომრეწველობის ნაწარმი.

დასასრულ ჯოსეფ კენდალმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა მას ყველგან გულითადად ხელი მიაწოდა.

არცხვენს მეცნიერის სახელს


საქართველოს საბჭოთა მწერლები, რომელთა სახელითაც ჩვენ ვლაპარაკობთ, აღშფოთებული არიან აკადემიკოს სახაროვის ქცევით, მიაჩნიათ, რომ იგი ღირსი არ არის ატარებდეს საბჭოთა მეცნიერის მაღალ და საპატიო წოდებას. განა საჭიროა იმ ანბანური ჭეშმარიტების გახსენება, რომ მეცნიერი სამეცნიერო მუშაობას უნდა ეწეოდეს. აკადემიკოსმა სახაროვმა საჭიროდ მიიჩნია დაევიწყებინა ეს, და იყენებს რა ცუდი სუნის მქონე უცხოურ გამოცემებს, ლაფსა სცხებს ჩვენს სახელმწიფოებრივ წყობილებას, ჩვენს მშობლიურ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც სისხლისმსმელ ბრძოლებში მოიპოვა და დაიცვა საბჭოთა ხალხმა.

ახორციელებს რა სკკპ XXIV ყრილობის მითითებებს, რომელმაც მშვიდობის პროგრამა გამოაცხადა, საბჭოთა კავშირმა მიაღწია დიდ წარმატებებს დაძაბულობის შენელებაში, საერთაშორისო ატმოსფეროს გაჯანსაღებაში. გადადგმულია პირველი ნაბიჯები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების ეკონომიური და კულტურული დაახლოებისათვის. ეს ისტორიული ძვრები ერთსულოვნად მოიწონა პლანეტის ყველა პატიოსანმა ადამიანმა და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა სახელმწიფოს ყველა მოქალაქემ.

მაგრამ ჩვენს ქვეყანაში აღმოჩნდა ადამიანი, მეცნიერის სახელს რომ ატარებს, სახელდობრ აკადემიკოსი სახაროვი, ვინც გამოდის ისეთი განცხადებებით, რომლებიც წუალს ასხამენ „ცივი ომის“ მომხრეთა წისქვილს. იგი ისევე, როგორც მწერალი სოლუენიცინი, გახდა გარეწარი, რომელიც ცილს სწამებს საბჭოთა ხალხის წმიდათაწმიდას. ამგვარ გარეწართა და ცილისმწამებელთა ხვედრი კი ცნობილია — ისინი განწირულნი არიან მარადიულ სირცხვილი ზიდონ.

გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, მუხრან მაჭავარიანი, გიორგი ნატროშვილი, იოსებ ნონეშვილი, ბესარიონ ჟღენტი, არჩილ სულაკაური, ალექსანდრე ჯუთათელი, დემნა შენგელაია, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, რევაზ ჯაშარიძე.

სასიქადულო მამულიშვილი აკადემიკოსი გიორგი წერეთელი



საბჭოთა მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა სკოლის ფუძემდებელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე აკადემიკოსი გიორგი ვასილის-ძე წერეთელი.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა მიუძღვნა მეცნიერებისადმი თავდადებული სამსახურის კეთილშობილურ საქმეს. თავისი პირველხარისხოვანი ნაშრომებით არაბისტიკის, ძველი აღმოსავლეთის ენების, ირანისტიკისა და ქართველოლოგიის დარგში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი ფილოლოგიური მეცნიერების განვითარებაში და მთელ რიგ შემთხვევებში კვლევის სრულიად ახალი მიმართულებები დასახა.

გ. წერეთელი დაიბადა 1904 წლის 21 ოქტომბერს თიანეთში. 1922 წ. დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია, რის შემდეგაც შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო განყოფილებაზე. სტუდენტობის დროს იგი სწავლობდა ქართულ ფილოლოგიას, საქართველოს ისტორიას, სომხურ ენას და მთელ რიგ აღმოსავლურ ენებს — არაბულს, სპარსულს, სანსკრიტსა და სხვ. გამოჩენილი ქართველ მეცნიერების ივ. ჯავახიშვილის, გ. ახვლედიანისა და ა. შანიძის ხელმძღვანელობით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გ. წერეთელი დატოვეს საპროფესორო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად, ხოლო 1929 წელს ჩაირიცხა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში, სადაც განაგრძობდა დასპეციალებას აღმოსავლეთმცოდნეობის სხვადასხვა დარგში გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერების ე. კრაჩკოვსკის, ბ. კოკოვცოვისა და ვ. ბარტოლდის ხელმძღვანელობით. 1932 წელს გ. წერეთელი მიიწვიეს დოცენტად ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, სადაც კითხულობდა არაბული ენის კურსს.

1935 წ. გ. წერეთელი მუდმივ სამუშაოდ გადმოდის თბილისში და პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას განაგრძობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1936 წლიდან, როდესაც თბილისში ჩამოყალიბდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, გ. წერეთელს დაეკისრა ამ ინსტიტუტის აღმოსავლურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელობა.

ამ პერიოდიდან გ. წერეთელმა დიდი მუშაობა გაშალა ახალგაზრდა სპეციალისტთა მოსამზადებლად არაბისტიკის, სემიტური ენებისა და ძველი აღმოსავლური ენების დარგში. გ. წერეთლის საქმიანობა ამ დარგში კიდევ უფრო ინტენსიური გახდა მას შემდეგ, რაც ჩვენში დაარსდა მეცნიერებათა აკადემია, ხოლო აღმოსავლურ ენათა კვლევა წარიმართა ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

1942 წელს გ. წერეთელმა ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და იმავე წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

1944 წელს გ. წერეთელი აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

სპეციალისტთა სათანადო კადრების მომზადებამ შესაძლებელი გახადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1945 წელს გახსნილიყო აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. ამ ფაკულტეტის დაარსების ინიციატორი გ. წერეთელი იყო. 1945 წლიდანვე იგი სათავეში ჩაუდგა მას მიერ დაარსებულ სემიტოლოგიის კათედრას. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე იგი კითხულობდა არაბული და ებრაული ენების კურსებს, სემიტურ ენათა შედარებით გრამატიკას და სხვა დისციპლინებს.

1946 წელს გ. წერეთლის დამსახურება მეცნიერების წინაშე აღინიშნა იმით, რომ იგი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

აკადემიკოსი გ. წერეთელი თავის საქმიანობაში დიდ ადგილს უთმობდა სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობას: ათი წლის მანძილზე, 1957-1967 წწ. იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას, როგორც მისი აკადემიკოს-მდივანი, ხოლო 1967-1970 წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე აკადემიკოსი გ. წერეთელი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

1960 წელს აკად. გ. წერეთლის მრავალი წლის მუშაობა ჩვენში აღმოსავლეთმცოდნეობის დარგის განვითარებისათვის დაგვირგვინდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შექმნით. აკად. გ. წერეთელი ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი უცვლელი დირექტორი იყო. ინსტიტუტი თავისი არსებობის 13 წლის განმავლობაში იქცა საერთაშორისო მნიშვნელობის ერთერთ მძლავრ სამეცნიერო ცენტრად აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში.

1968 წელს საბჭოთა მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურების გამო, უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერი, არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

აკად. გ. წერეთელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ცენტრალური სამეცნიერო ორგანოების მუშაობაში. იგი წლების მანძილზე იყო ჟურნალ „ვოპროსი იაზიკოზნანიას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

განსვენებულმა მეცნიერმა დიდი ენერგია მოანდომა საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდას ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ. იგი ხშირად კითხულობდა მოხსენებებს საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე. მისი ნაშრომები იბეჭდებოდა არაბულ ქვეყნებში, ირანში, ევროპასა და ამერიკაში.

აკადემიკოსი გ. წერეთელი, საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერი, არჩეული იყო დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოებისა და პოლონეთის ორიენტალისტთა საზოგადოების საპატიო წევრად.

აკად. გ. წერეთელმა თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე აღზარდა მთელი პლეადა ქართველი აღმოსავლეთმცოდნეებისა, რომელთა შრომებმა ფართო აღიარება ჰპოვეს როგორც ჩვენში, ისე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

მაგრამ აკად. გ. წერეთელი არ იფარგლებოდა მარტო ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ინტერესებით. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამ დარგის განვითარებას ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში და ყოველთვის მზად იყო აღმოეჩინა დახმარება უველა დაწესებულებისა და პიროვნებისათვის, რომლებიც მას ამისათვის მიმართავდნენ. ამიტომაც არის, რომ გ. წერეთლის მიერ აღზრდილი არაერთი სპეციალისტი — მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი მუშაობს მოძმე აზერბაიჯანში, უზბეკეთსა და ტაჯიკეთში. აკად. გ. წერეთელი ამ მუშაობით ქმედითად უწყობდა ხელს მოძმე ხალხებთან მეცნიერულ-კულტურული ურთიერთობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

მეცნიერული სიღრმე, მრავალი აღმოსავლური და დასავლური ენის ცოდნა, განსაცვიფრებელი ერუდიცია და ფართო სამეცნიერო ინტერესები საშუალებას აძლევდა აკად. გ. წერეთელს წარმატებით ემუშავა აღმოსავლეთმცოდნეობისა და ქართველოლოგიის მრავალ კარდინალურ პრობლემაზე.

აკად. გ. წერეთელმა მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მას ჯალამს ეკუთვნის ასამდე ნაშრომი არაბისტიკის, სემიტოლოგიის, ძველი აღმოსავლეთის ენებისა და ქართველოლოგიის დარგში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამსახურება შუა აზიის მანამდე უცნობი არაბული დიალექტების შესწავლაში. მისმა გამოკვლევებმა ამ დარგში ავტორს საყოველთაო აღიარება მოუპოვა. შუა აზიის არაბების მეტყველების აღმოჩენა და გამოკვლევა წარმოადგენს ღირსშესანიშნავ მოვლენას თანამედროვე არაბისტიკის ისტორიაში. ახლადაღმოჩენილი არაბული დიალექტები შუა აზიაში უძვირფასესი წყაროა შედარებითი არაბული დიალექტოლოგიისათვის და ახლებურად ამუშებს არაბული ენის ისტორიის მთელ რიგ ურთულეს პრობლემებს.

აკად. გ. წერეთელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძველი აღმოსავლეთის ენათა შესწავლაში. მისი ნაშრომი „საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები“ არის ბრწყინვალე ნიმუში ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემისა. იგი არის საბჭოთა კავშირში ურარტული ენის შესწავლის დარგში პირველი ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც გათვალისწინებული იყო იმ დროის მსოფლიო მეცნიერების ყველა მიღწევა. აკად. გ. წერეთლის ეს გამოკვლევა სამაგიდო წიგნად არის აღიარებული ურარტოლოგიაში მომუშავე ყველა სპეციალისტისათვის.

ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ნაშრომი აკად. გ. წერეთლისა არის მისი მონოგრაფია „არმაზის ბილინგვა“, რომელშიც მოცემულია არმაზის არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული ორენოვანი წარწერის დეტალური ანალიზი. გ. წერეთელმა გაშიფრა მანამდე უცნობი დამწერლობით შესრულებული წარწერა, იგი აღმოჩნდა არამეული დამწერლობის ორიგინალური სახეობა, რომელიც მსოფლიო მეცნიერებაში ახლა „არმაზულის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

წარწერის ანალიზმა შესაძლებლობა მისცა მეცნიერს ახლებურად დაეყენებინა საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის მთელი რიგი კარდინალური პრობლემები I-II საუკუნეში და სრულიად ახლებურად გაეშუქებინა ქართული დამწერლობის გენეზისის პრობლემა.

ქართული კულტურისა და ენის ისტორიის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გ. წერეთლის შრომას „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“, რომელშიც ავტორმა შეძლო მოეცა ზუსტი დათარიღება ამ წარწერებისა, რომლებიც ნახევარი საუკუნით უფრო ძველი აღმოჩნდნენ, ვიდრე სხვა მანამდე ცნობილი ქართული წარწერები.

აკად. გ. წერეთლის ინიციატივით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა „საქართველოს ისტორიის უცხო წყაროთა კომისია“. აკად. გ. წერეთლის რედაქტორობით ამ კომისიამ გამოსაქვეყნებლად მოამზადა ას ტომზე მეტი არაბი, ირანელი, ბერძენი, სომეხი და დასავლეთევროპელი ავტორების ცნობებისა საქართველოს ისტორიის შესახებ. ოცდაათამდე ტომი მათგან უკვე გამოქვეყნებულია. აღნიშნული წყაროები შეიცავენ პირველხარისხოვან ცნობებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის შესახებ. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიით აღინიშნა აკად. გ. წერეთლის მონაწილეობა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შედგენაში.

განსაკუთრებულია აკად. გ. წერეთლის ღვაწლი ქართული პოეზიის შედევრის შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის გამოცემის დარგში. აკად. აკაკი შანიძესთან ერთად მან საფუძველი ჩაუყარა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას.

ბოლო ხანებში აკად. გ. წერეთელმა არა ერთი ნაშრომი გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ საკითხებზე. ეს ნაშრომები, რომლებიც განსვენებულ მეცნიერისათვის დამახასიათებელი სიღრმით არის შესრულებული, ფილოლოგიური კვლევა-ძიების ნიმუშად ჩაითვლება. ამ ნაშრომთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის ფუნდამენტურ მონოგრაფიას „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“, რომელიც სრულიად ახალი სიტყვაა არა მარტო რუსთველის პოეტიკის დარგში, არამედ საერთოდ ქართული ლექსთმცოდნეობის ზოგადთეორიული პრობლემების კვლევაში.

აკადემიკოსი გ. წერეთელი დიდ მეცნიერულ მუშაობას უთავსებდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. იგი იყო საქართველოს სსრ VI, VII და VIII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, იყო საქართველოს სსრ VII მოწვევის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.


დიდ მუშაობას ეწეოდა აკად. გ. წერეთელი არაბეთის ქვეყნებთან მეგობრობის საბჭოთა კავშირის საზოგადოების საქართველოს განყოფილების ბაზით, როგორც მისი თავმჯდომარე. აკად. გ. წერეთელი იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციის წევრი.

სამშობლომ დიდად შეაფასა განსვენებული მეცნიერის დამსახურება საბჭოთა მეცნიერებისა და ხალხის წინაშე. იგი დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშის“ ორი ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

აკად. გ. წერეთელი წავიდა ჩვენგან თავისი შემოქმედებითი აღმავლობის ხანაში. მის სახელს მუდამ პატივისცემითა და სიყვარულით მოიგონებს მადლიერი ქართველი ხალხი.

გ. გიგიბერია, პ. გილაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, პ. მელნიკოვი, ზ. პატარიძე, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ა. ჩურკინი, გ. ძოწენიძე, გ. ჯავახიშვილი, თ. მოსაშვილი, შ. უარყარაშვილი, ო. ჩერქეზია, მ. კელდიში, პ. ფედოსეევი, მ. ხრაპჩენკო, ი. გერიტაშვილი, ი. ვეკუა, ნ. მუსხელიშვილი, ი. აბაშიძე, შ. ამირანაშვილი, ზ. ახვლედიანი, ა. ბარამიძე, კ. გამსახურდია, ს. დურმიშიძე, ზ. ქვაჭაძე, ვ. კუპრაძე, ნ. ლანდია, გ. მელიქიშვილი, ე. სეხნიაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ა. შანიძე, შ. შარტავა, ა. ჩიქობავა, დ. ჩხიკვიშვილი, ე. ხარაძე, თ. ჯანელიძე, გ. ჯიბლაძე, ს. ჯიქია.

რევოლუციის რაინდები!



30 აგვისტოს 70 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მეფის ჯალათებმა მეტეხის ციხეში ვერაგულად მოკლეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი ამიერკავკასიაში, ცნობილი რევოლუციონერი **ლადო კეცხოველი.**

მადლიერმა შთამომავლობამ სამარადისო დიდებით შემოსა რევოლუციისათვის თავდადებული რაინდის სახელი. ლადო კეცხოველმა დღეს იმ ადამიანთა შორის დაიმკვიდრა სამარადისო ადგილი, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად მოუპოვა ადამიანებს ბედნიერება... „ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა“...

სურათზე: ლადო კეცხოველის ბიუსტი, რომელიც თბილისის კომუნარების ბაღშია დადგმული. ბიუსტის ავტორია საქართველოს სახალხო მხატვარი ვალერიან თოფურიძე.

ლეულს, 20 სექტემბერს 55 წელი სრულდება სახელოვან ბაქოელ კომისართა დახვრეტის დღიდან. საბჭოთა ხალხი და მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები პატივისცემით იგონებენ კომუნიზმისათვის ამ თავდადებულ მებრძოლებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ყოფილი რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში, მათ შორის ამიერკავკასიაშიც, უცხო ქვეყნების იმპერიალისტების შემწეობითა და უშუალო მხარდაჭერით, ძალაუფლება ხელთ იგდო კონტრრევოლუციამ, რომელმაც რევოლუციური ტრადიციების მქონე ამიერკავკასია მოსწყვიტა საბჭოთა რუსეთს და უცხოელი იმპერიალისტების ფაქტიურ კოლონიად აქცია.

ამიერკავკასიის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები გაერთიანდნენ თავიანთი რევოლუციურად განწყობილი მშრომელებისა და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, შეეცადნენ შეექმნათ ამიერკავკასიის ბურჟუაზიული ფედერაციული სახელმწიფო. მაგრამ წვრილბურჟუაზიულ პარტიებს შორის არსებული უთანხმოებისა და წინააღმდეგობათა შედეგად, აგრეთვე უცხო კოლონიზატორების გამთიშველი პოლიტიკის გამო 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის ბურჟუაზიული ფედერაცია დაიშალა და შეიქმნა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეგრეთ წოდებული დამოუკიდებელი რესპუბლიკები, რომელთა სათავეში მოექცნენ მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციამ და უცხოეთის იმპერიალისტებმა, მრავალი ცდის მიუხედავად, ვერ შეძლეს ხელში ჩაეგდოთ პროლეტარული ბაქო, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე კავკასიაში ბოლშევიზმის ფორპოსტი იყო და სოციალისტური რევოლუციის ფორპოსტი გახდა.

ბაქოს საბჭოს წინააღუდგნენ არა მარტო ბურჟუა-ექსპლუატატორები, არამედ მემარჯვენე ესერები, მენშევიკები და დაშნაკები, რომლებიც მიმართავდნენ აშკარა საბოტაჟს, პოლიტიკურ დემაგოგიას და ნაციონალისტურ პროპაგანდას, პროვოკაციულ ცილისწამებას რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ბაქოს ბოლშევიკური ფრაქციის წევრებისა და მისი ხელმძღვანელების მიმართ. ბაქოს საბჭოს წინააღმდეგ შეიქმნა მეორე კონტრრევოლუციური დაჯგუფებაც. მუსავატელებმა ბაქოში მოიპატიჟეს სხვა იმპერიალისტებიც. მართალია, მუსავატელებსა და დაშნაკებს შეურიგებელი ჭიშპობა ჰქონდათ, მაგრამ უცხოელ კოლონიზატორთა მოწვევაში მაინც ერთსულოვანნი იყვნენ.

1918 წლის 30 მარტს მუსავატელების ინიციატივით, თურქეთის სარდლობისა და ამიერკავკასიის სეიმთან შეთანხმებით, ბაქოში დაიწყო ანტისაბჭოთა „ამბოხება“. ბაქოს საბჭომ შექმნა რევოლუციური თავდაცვის კომიტეტი, ბოლშევიკების ს. შაუმიანის, ა. ჯაფარიძის, გ. უორღანოვის, ნ. ნარიმანოვისა და სხვათა შემადგენლობით. თავდაცვის კომიტეტმა ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის დახმარებით დარაზმა რევოლუციური ძალები. „ამბოხება“ სამ დღეს გაგრძელდა და დამთავრდა საბჭოს სრული გამარჯვებით. ბაქოში მუსავატური ავანტიურის დღეებში დაშნაკებმა ჯერ ნეიტრალური პოზიცია დაიჭირეს, შემდეგ კი, როცა ბოლშევიკების გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, „მონაწილეობა“ მიიღეს კონტრრევოლუციონერთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ძირითადად იმაში გამოიხატა, რომ დაშნაკები ძარცვავდნენ და ხოცავდნენ აზერბაიჯანელებს, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ამბოხებულებთან. ამან, როგორც სტეფანე შაუმიანი მიუთითებდა, ბრძოლას ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ერთგვარი ეროვნული ელფერი მისცა.

1918 წლის 25 აპრილს შეიქმნა ბაქოს გუბერნიის სახალხო კომისართა საბჭო. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ და საგარეო საქმეთა კომისრად დაამტკიცეს ს. შაუმიანი, შინაგან საქმეთა

26 კომისრის ნათელ ხსოვნას

კომისრად — ა. ჯაფარიძე, საქალაქო მეურნეობის კომისრად — ნ. ნარიმანოვი, სახალხო მეურნეობის კომისრად — ი. ფიოლეტოვი, სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისრად — გ. უორღანოვი, იუსტიციის კომისრად — ა. კარინიანი და განათლების კომისრად — ნ. კოლესნიკოვა. რამდენიმე ხნის შემდეგ შრომის კომისრად დაინიშნა ი. ზევინი, მიწათმოქმედების სახალხო კომისრად — მ. ვეზიროვი, ბაქოს საბჭოთა საგუბერნიო კომისრად — მ. აზიზბეკოვი, დაღესტნის ოლქის კომისრად — ვ. ნანეიშვილი და სხვები. დასახელებული გვარები კარგად მეტყველებენ ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს მრავალეროვნულ, ინტერნაციონალურ შემადგენლობაზე.

ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ბოლშევიკურ ფრაქციასა და ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან და პირადად მის თავმჯდომარესთან ვ. ი. ლენინთან, რომელიც დაუღალავად ზრუნავდა სოციალისტურ ბაქოზე. ვ. ი. ლენინის მითითებით ბაქოში სამუშაოდ გაიგზავნენ გამოცდილი მუშაკები.

ბაქოს კომუნა წარმოადგენდა სოციალიზმის ოაზისს ამიერკავკასიაში. მას უაღრესად მტრულ კლასობრივ გარემოცვაში უხდებოდა არსებობა. ამის მიუხედავად, ბაქოს სახალხო კომისართა საბჭომ თავისი მოღვაწეობის სამი თვის განმავლობაში მნიშვნელოვანი სოციალისტური გარდაქმნები განახორციელა პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში. კომისართა საბჭომ განაგრძო ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მიერ დაწყებული დიდი საქმე — ხელისუფლების ბურჟუაზიული ორგანოების ლიკვიდაცია და ახალი, საბჭოთა აპარატის შექმნა. ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტებით ნაციონალიზებულ იქნა ნავთობის მრეწველობა, კასპიის ზღვის სავაჭრო ფლოტი, ბანკები, თევზის მრეწველობა და მრეწველობის სხვა ძირითადი დარგები, დაიწყო მიწის ნაციონალიზაცია. ბაქოს კომუნარებმა განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებები მუშათა კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, დაკანონდა 8-საათიანი სამუშაო დღე, თითქმის ერთიორად გადიდდა მუშათა ხელფასი. ბაქოს სახკომსაბჭომ მიიღო დეკრეტი მეჩეთისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ, შემოღებულ იქნა საყოველთაო სავალდებულო უფასო სწავლება.

ამიერკავკასიის მშრომელებმა თავიანთი სიმპათიები ბაქოს პროლეტარიატის მიმართ შეიარაღებულ აჯანყებებში გამოხატეს. საქართველოში 1918 წლის თებერვლიდან აგვისტომდე აჯანყდა თითქმის ყველა კუთხე, ყველა მაზრა. ლეჩხუმის, სამეგრელოს, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, საჩხერის, დუშეთის აჯანყებებმა მენშევიკური მთავრობა კატასტროფის წინაშე დააყენეს.

1918 წლის ზაფხულში ბაქო მტრების რკალში აღმოჩნდა. თერგის ოლქი და დაღესტანი ხელთ იგდეს თეთრგვარდიელთა ბანდებმა, მემარჯვენე ესერების ანტისაბჭოთა საქმიანობის შედეგად კასპიის ზღვის სამხედრო ფლოტი ინგლისელი ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის გავლენაში მოექცა. ამან კი ერთობ გააძნელა ბაქოსა და საბჭოთა ასტრახანს შორის ურთიერთობა. იმიერკასპიის მხარეში მემარჯვენე ესერებმა კოლონიზატორთა ძალების დახმარებით დროებით დაამხეს საბჭოთა ხელისუფლება და კონტრრევოლუციური ტერორის რეჟიმი დაამყარეს.

1918 წლის ივნისში მუსავატურმა რაზმებმა ბაქოზე გაილაშქრეს. ივლისის შუა რიცხვებში საბჭოთა რუსეთიდან ბაქოში ჩამოვიდა წითელი არმიის რაზმი გ. პეტროვის სარდლობით, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ბაქოს დაცვაში. ირანში იმყოფებოდა მეფის რუსეთის არმიის დიდი რაზმი ბიჩერახოვის მეთაურობით. ბიჩერახოვმა შესთავაზა ბაქოს კომუნას დახმარება. კომუნამ მიიღო ეს წინადადება. ბიჩერახოვის რაზმი ბაქოში ჩავიდა და რამდენიმე საომარი ოპერაცია მართლაც ჩაატარა, 30 ივლისს კი ფრონტი მიატოვა, დაღესტანს შეუტია და თერგის ოლქის კონტრრევოლუციასთან ერთად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაება.

ივლისში, როცა ბაქოს მისადგომებთან სისხლისმღვრელი შეტაკებები გაიმართა, მემარჯვენე ესერებმა, დაშნაკებმა და მენშევიკებმა ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში წამოაყენეს წინადადება ინგლისელთა ჯარების მოწვევის შესახებ. ხმების უმრავლესობით (258 ხმა 236-ის წინააღმდეგ) გადაწყდა ბაქოში ინგლისელთა ჯარის მოწვევა. უმცირესობაში დარჩენილმა ბოლშევიკებმა რწმუნებანი მოიხსნეს, ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო გადადგა.

1918 წლის 1 აგვისტოს შეიქმნა ახალი მთავრობა, ეგრეთ წოდებული „ცენტროკასპის დიქტატურა“, რომელშიც შევიდნენ მემარჯვენე ესერები, მენშევიკები, დაშნაკები, კადეტები და ანარქისტები. როცა ამ მთავრობას აკომპლექტებდნენ, ბოლშევიკებსაც შესთავაზეს რამდენიმე პოსტი, მაგრამ ბოლშევიკებმა კატეგორიულად უარყვეს ეს წინადადება. კონტრრევოლუციონერებს სურდათ ამ ხერხით შეცდომაში შეეყვანათ ბოლშევიკთა წარმომადგენლები, რათა მათ დროებით ეთანამშრომლათ ინგლისელ ინტერვენტებთან, ეს კი ბრესტის ზავის პირობების დარღვევა იქნებოდა.

4 აგვისტოს ენზელიდან ბაქოში სამხედრო ხომალდებით ჩამოვიდა ინგლისელთა მცირერიცხოვანი რაზმი (800-1000 მეომარი). ამ რაზმის ერთმა დანაყოფმა სამწყობრო ნაბიჯით შემოიარა ბაქოს ყველა ცენტრალური ქუჩა. ეს იყო და ეს ის სამხედრო დახმარება, ინგლისელებმა ბაქოს „დასაცავად“ რომ გასწიეს. ინგლისელები ანგარიშობდნენ, რომ ტრადიციისამებრ შეძლებდნენ სხვისი ხელით ნარ-ეკალი ეგლიჯათ, ინგლისელთა რაზმი ბაქოში ორმოციოდე დღეს დარჩა, შემდეგ კი, როცა ბაქოში სხვა ინტერვენტთა და მუსავატისტური მთავრობის ჯარის ნაწილები შემოიჭრნენ, გაქცევა იკადრა და კვლავ ირანში გადაბარგდა.

ბაქოს კომისრებმა ასტრახანში გადასვლა გადაწყვიტეს, მაგრამ კონტრრევოლუციურმა მთავრობამ დააკავა გემები, რომლებითაც ბაქოს კომისრები და გ. პეტროვის რაზმის მეომრები ასტრახანში მიემგზავრებოდნენ. ბაქოს კომუნის მოღვაწეები დაპატიმრეს.

1918 წლის 15 სექტემბერს მუსავატური მთავრობა განჯიდან ბაქოში გადავიდა. ბაქოში იმპერიალისტთა და მუსავატელთა რაზმების შესვლამდე რამდენიმე საათით ადრე ბოლშევიკებმა შეძლეს ბაქოელი კომისრების ციხიდან განთავისუფლება. კომისრები სხვა ლტოლვილებთან ერთად გემ „თურქმენით“ ასტრახანისაკენ გაემართნენ. გემ „თურქმენის“ ეკიპაჟმა, რომელიც კონტრრევოლუციურად იყო განწყობილი, 17 სექტემბერს გემი კრასნოვოდსკში მიიყვანა. მაშინ კრასნოვოდსკი ესერულ-მენშევიკური კონტრრევოლუციას ეჭირა. ბაქოს კომისრები და მათი თანმხლებნი დაპატიმრეს.

20 სექტემბრის წინაღამეს 26 ბაქოელ კომისარს გამოუცხადეს, აშხაბადის ციხეში უნდა გადაგიყვანოთო, საგანგებო მატარებელში ჩასვეს და აჩხა-კუიმასა და პერევალის სადგურებს შუა მხეცურად დახოცეს.

იმიერკასპიის ქვიშნარებში დაიღუპნენ ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, გ. აზიზბეკოვი, ი. ფიოლეტოვი, ი. ზევინი, გ. უორღანოვი, მ. ვეზიროვი, გ. პეტროვი, ი. მალიგინი, ვ. პოლუხინი, ე. ბერგი, ფ. სოლნცევი, ს. ოსეფიანი, მ. ბასინი, ა. ამირიანი, ი. გაბიშევი, ა. ბორიანი, მ. კოგანოვი, ბ. ავჭიანი, ს. ბოგდანოვი, ა. კოსტანდიანი, ი. მეტაქსა, ი. მიშნე, ა. ბოგდანოვი, ი. ნიკოლაშვილი და თ. ამიროვი.

* * *

ბაქოელი ესერები, დაშნაკები, მუსავატელები და მენშევიკები, ბევრს გაჰყვიროდნენ ბაქოს კომისრების სიმკაცრესა და ტერორზე. ბაქოს კომუნის საგანგებო კომისიამ მისი არსებობის პერიოდში დახვრიტა მხოლოდ ორი კონტრრევოლუციონერი, ხოლო მუსავატელებმა ბაქოს დაპყრობის მარტო პირველი სამი დღის განმავლობაში გაუსწორეს 20 ათასზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე.

ერთი წლის შემდეგ, როცა თურქესტანში საბჭოთა ხელისუფლება აღდგა და 26 ბაქოელი კომისრის საფლავი გაჰხსნეს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა დაადასტურა უმაგალითო მხეცობა: გვამები დაჩეხილი აღმოჩნდნენ. 1920 წლის სექტემბერში „ცივილიზებული“ ბარბაროსების მსხვერპლთა ნეშტი საბჭოთა აზერბაიჯანის დედაქალაქში გადმოასვენეს. დღეს ბაქოს ის მოედანი, სადაც კომისრები დაკრძალეს, ბაქოს 26 კომისრის სახელს ატარებს.


26 კომისრის ნათელი ხსოვნა მოგვიწოდებს დაუღალავი შრომისაკენ, რათა კიდევ უფრო ძლიერი გავხადოთ ჩვენი სამშობლო — დიდი ლენინის მიერ შექმნილი თავისუფალ ერთა ურღვევი ძმური კავშირი.

ნიკოლოზ სტურუა,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



26 კომისრის დახვრეტა

რომ გაათბოს და გაანათოს



ჩამოჯდა, ფიქრს მიეცა... დიდხანს, ძალიან დიდხანს უმზირა ნინო მასწავლებელმა გონების თვალით გოგის, მანანას, ქეთევანს, რუსუდანს, სოსოს, მაიას... გაზრდილს, გარუჯულს ხედავდა თითოეულს და უხაროდა...

გაიხსენა — ქეთევანი, ნინო და მაია არტეკში ისვენებდნენ, გოგი და სოსო—ქობულეთში, თამაზი ლენინგრადში წაიყვანეს მშობლებმა...

საკლასო ჟურნალი, რომლის ყდაზე ლამაზი ასოებით ეწერა — თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლის მე-8 მეორე კლასი, ფრთხილად გადაშალა და აუჩქარებლად ჩაჰყვა. ჩაიკითხა და თვითონვე უთხრა აღსაზრდელებს სამი თვის მანძილზე დაგროვილი სათქმელი...

სოსო კარგი სწავლისათვის შეაქო, მაგრამ ცოტა ცელქი ხარო, უსაყვედურა, მერვე კლასის მოსწავლე გქვია და ყოველმხრივ სანიმუშო უნდა იყოო...

სიბეჯითე გოგისაც მოუწონა, თუმცა ისიც უთხრა, კლასგარეშე დავალებას ყოველთვის ერთნაირი მონდომებით არ აკეთებ, წლეულს უფრო აქტიურად უნდა ჩაება სასკოლო ცხოვრებაში...

რუსუდანს მეგობრების მიერ შერჩეული „კლასის დედობილის“ სახელის გამართლება უსურვა — აბა შენ იცი, ყოველთვის გვერდით ედექი თანატოლებსო...

ყველაზე დიდხანს ქეთევანს ესაუბრა — კარგია სოფელ ვარიანის გოგებაშვილის სახელობისა და ქალაქ ლვოვის 51-ე საშუალო სკოლებთან დამყარებულ ჩვენი კლასის მეგობრობას რომ უდგეხარ სათავეში, წლეულს ეს მეგობრობა კიდევ უფრო უნდა გავაღრმავოთ და განვამტკიცოთო...

თემურს უკეთ სწავლა უსურვა...

თამაზს, გოგისა და კახას კი ჩამორჩენილი თანატოლებისათვის დახმარება მოუწონა...

გოგის განათლებული ბიჭი ხარო, მაგრამ სწავლაშიც მოწინავე უნდა გახდეო უთხრა...

ჟურნალი დახურა და ახალი სასწავლო წლის პროგრამას მისწვდა მისი ფიქრი. იცის, ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლა იოლი საქმე როდია, ამიტომაც შარშანვე შეუდგა სამზადისს: მოსწავლეები წაიყვანა მცხეთაში, ანანურში, გრემში, დაწერილებით მოუთხრო ჩვენი წარსულის დიდებულ ძეგლებზე, უჩვენა მათზე ამოკვეთილი მხედრული და ასომთავრული წარწერები...

წუთი წუთს მისდევს. ღვაწლმოსილი პედაგოგის თვალწინ თანმიმდევრულად იშლება ტკბილად მოსაგონარი თუ გულსატკენი...

ხვალ პირველი სექტემბერია! ოცდამეცხრამეტედ ხვდება ამ დიდ ზეიმს თბილისის 51-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნინო ბონაძე. ვინ მოთვლის, ამ ხნის განმავლობაში რამდენი კარგი მოქალაქე აღუზარდა შესანიშნავმა პედაგოგმა სამშობლოს... რამდენს კიდევ აღუზრდის ეს თმაშეთოვლილი დედა და ბებია.

— სკოლაში ბავშვებისა და დედაენის სიყვარულმა მიმიყვანა,—მითხრა საუბარში და ძალზე მოკლედ თავისი დიდი ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი გაგაცნო... პედაგოგიური საწყვლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ამბროლაურის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში, ხოლო პედაგოგიური ინსტიტუტი რომ დაამთავრა, საცხოვრებლად დედაქალაქში გადმოვიდა. 1948 წლიდან თბილისის 51-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის სახელს ატარებს. ოჯახიც ისეთი აქვს, ქართველ ქალს რომ შეჰფერის: როდესაც მეუღლე, დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრის დოცენტი გიორგი გონაძე, ფაშისტებს ებრძოდა, მასაც უანგარო შრომით შეჰქონდა თავისი წვლილი მტერზე გამარჯვებაში. კარგი შვილი აღუზარდა სამშობლოს — ზაური მშენებელი ინჟინერია, რძალს კონსერვატორია აქვს დამთავრებული, ორი შვილიშვილი ეზრდება ოჯახში — ზვიადი და გიორგი.

— ენაცვალოს ბებია, ზვიადი წლეულს მიდის სკოლაში, — მითხრა და თვალებში ბედნიერების სხივი ჩაუდგა...

გამომშვიდობებისას მთხოვა: მინდა თქვენი გაზეთით პირველი სექტემბერი მივულოცო ყველას, ვინც ხვალ დედაენაზე დაწერილ წიგნს გადაშლის,—შემდეგ რაღაცაზე ჩაფიქრდა და დასძინა, — ვიცი, უცხოეთში მცხოვრებ ბევრ თანამემამულეს საშუალება არა აქვს თავის შვილებს ქართული ენა ასწავლოს, მაგრამ მეტი მონდომება უნდა გამოიჩინონ, ყველა სიძნელე გადალახონ, რომ შვილებს ქართული ენა არ დაუკარგონ და ამით მშობლიურ ნიადაგზე დააყენონ. აკი თქვა დიდმა აკაკიმ — მშობლიურ ნიადაგზე თუ არა დგას კაცი, მისი შუქი ბევრს ვერ გაანათებს და ვერც ვერავის გათბობსო.

რევაზ მაჭავარიანი

სკოლის კარებთან!..

თბილისი. პირველი სექტემბერი...

გარუჯული გოგო-ბიჭების ჟრიამული არემარეს ავსებს... სერიოზულად, თან ფაცი-ფუცით ემზადებოდნენ... მერამდენედ ამოაწყეს ჩანთიდან ყველაფერი, მცრე ისევ გულმოდგინედ ჩააწყეს წიგნები, რვეულები, ფანქრები... ხომ არაფერი გამორჩათ — ეს ხომ თამაშობა აღარ არის — ეხლა ნამდვილად მიდიან სკოლაში...

— ჩქარა, დედი, ჩქარა, დავაგვიანებთ, ნინო და რუსუდანი უკვე წავიდნენ!

— დედიკო, თამარ მასწავლებელმა ბაღში ხომ მითხრა, როცა გაიზრდები და სკოლაში ივლი, წითელ ყელსახვევს მაშინ გაიკეთებო... ეხლა ხომ დიდი ვარ და სკოლაშიც მივდივარ, არ გამიკეთებ, ჰა?!

— ჩანთას მე წამოვიღებ, ბებო, — სწვდა ხელში გიორგი ბებიას. მან უკვე იცის, სამუშაოზე მიმავალმა კაცმა თვითონ უნდა ატაროს იარაღები. ყველას მაინც „დედაენა“ სჯობია! — გიორგის ფიქრი „დედაენას“ მისწვდა, — რა ლამაზი ასოებია შიგ ჩახატული... სურათები?! რა გინდა, შიგ რომ არ ეხატოს. მოთხრობებსა და ლექსებს აღარ იკითხავთ! ყველა ზეპირად ისწავლა გიორგიმ ამ ზაფხულს.

ქუჩები ლივლივებენ გარუჯული, დასვენებული, გაკაჟებული ბავშვებითა და მოზარდებით, სწავლამოწყურებულნი „ჩქარა“, „ჩქარას“ ძახილით რომ მიეშურებიან სკოლისაკენ.

...ივანე ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი გულთბილად შეხვდა მოსწავლეებს. სკოლის დირექტორმა ლამარა მარგველაშვილმა ბავშვებს მიულოცა ახალი სასწავლო წლის დაწყება, უსურვა წარმატებები სწავლაში და წაუკითხა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა მიმართვა მოსწავლეებისა და სტუდენტებისადმი. მოსწავლეებს მიესალმნენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თამარ ბურჯანაძე, ისტორიის მასწავლებელი მავრა ჯაში, ამავე სკოლადამთავრებული, ოქროსმედალოსანი მანანა ჟღენტი, სხვა მასწავლებლები და მშობლები.

წლეულს ამ სკოლაში 120-მდე ბავშვი მიუჯდება მერხს მოსამზადებელ ჯგუფებში. მათ საჩუქრებით შეხვდა სკოლა — ყველა ბავშვს მერხზე დახვდა ყვავილები და სასწავლო ნივთები...

— სულ უნდა გვასწავლონ, არ გვათამაშებენ? — მოუსვენრად კითხულობენ ტყუპები — მარინე და გიორგი სიჭინავები. — მე ფეხბურთელი მინდა გამოვიდე, — ამბობს გიორგი, მარინეს კი ვიოლინო იზიდავს. ყველა მოზარდს თავისი საოცნებო აქვს — სახლების, ხიდების, გემების აგება, ზოგის ოცნება კოსმოსს სწვდება...

ფეხბედნიერად გეევლოთ ცოდნის მწვერვალთა დასაპყრობად, მალხაზებო!

ნადია მეგალიშვილი



ვზა ბედნიერი, ჩვენო მომავალნო!

საქართველოს მარტყოფში

პირველი სექტემბერი!

პირველი ზარი, ადამიანს დედის ნანასავით ტკბილ მოსაგონრად რომ მიჰყვება სიცოცხლის მთელ მანძილზე და მის ცხოვრებას დიდ შინაარსს აძლევს...

საბჭოთა საქართველოში გულუხვი შემოდგომისა და სწავლის დაწყების პირველი დღე ერთმეორეს ემთხვევა. ერთად იწყება ქართველი ერის ორი დიდი სასიხარულო დღე. ამ დღეს მტკიცედ საფუძველი ეყრება ახალი თაობის მეცნიერულ აღზრდას. ამ დღიდან იწყება გლეხკაცის ოფლნაყარი მარჯვენით მოყვანილი ჭირნახულის საბოლოო აღება-დაბინავების პერიოდი. ამ დროს საქართველო ნამდვილი ედემია, რომელსაც მეტ სილამაზეს აძლევენ შემოდგომის მძაფრი ფერებით გაღაღანებული მინდვრისა თუ ბაღის ყვავილები.

გუთნისდედები, რომელთაც მშვიდობიანად აიღეს და დაბინავეს პური ჩვენი არსობისა, ბარსაკვეთებს წკეპავენ, თავიანთ რკინის ხარებს ამზადებენ, რომ შავ ხნულებს საიმედოდ მიაბარონ მომავლის თესლი და გაისად სამშობლოს კიდევ მეტი ხვავი და ბარაქა შესძინონ.

...საქართველოში პირველი სექტემბრის მოსვლას მოუთმენლად ელიან ისინიც, ვინც პირველად უნდა შეაღოს სკოლის კარები, და ისინიც, ვინც ეს სკოლა უკვე გაიარა და ეხლა თვითონ არის დიდი და შინაარსიანი ცხოვრების შემოქმედი. დიახ, ამიტომაც სასწავლო წლის დაწყისი დიდ სახალხო ზეიმად იქცევა ხოლმე.

ზეიმით დაიწყო ეს დიდებული დღე საქართველოს ერთ-ერთ უძველეს და უმძლავრეს სოფელ მარტყოფშიც. სოფლის მოასფალტებული ქუჩები და ორღობეები სავსეა თვალცისმცემა გოგონებითა და ბიჭუნებით. როგორც სამშობლოს დიდების ამბიონზე დანთებული კანდელი, მათს სახეებზე ისე ცმცმებს ბედნიერი ბავშვობის სიხარული, რომელსაც ისიც აორკეცებს, რომ წლეულს ისინი სწავლას იწყებენ საშუალო სკოლის ახალ, ოთხსართულიან შენობაში. 40 საკლასო ოთახში მათ დაუხვდათ ახალი სასწავლო ავეჯი, კაბინეტ-ლაბორატორიებიც ახალი ხელსაწყო-იარაღებით არის შევსებული. სასპორტო კომპლექსი — საცურავი აუზი, დახურული დარბაზი თუ ღია სასპორტო მოედნები ახალი თაობის ჯანსაღ სულიერ და ფიზიკურ აღზრდას მოემსახურებიან.



ეს სასკოლო შენობა ააგო სასოფლო მშენებლობის სამინისტროს პირველი ტრესტის მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ.

— ეს შენობა სკოლისათვის გაიხსნა პირველი იანვრისათვის უნდა ჩაგვებარებინა, — გვეუბნება მშენებელი ინჟინერი ივანე ხურციძე, — მაგრამ როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წლევანდელი წლის 2 ივლისის დადგენილება „სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ გამოქვეყნდა, გადავწყვიტეთ დაგვეჩქარებინა მშენებლობის ტემპი და ამით გვეთქვა მომავალი თაობისადმი სმობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გულთბილი ზრუნვის საპასუხო სიტყვა. როგორც ხედავთ, პირობა შევასრულეთ!

სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე დგას სკოლის დირექტორი არჩილ ნატროშვილი და მამაშვილურად ულოცავს ბავშვებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას. აქ არიან ღვაწლმოსილი და ახალბედა პედაგოგები. აი, ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ელენე სამჭკუაშვილი, ის ორმოცდამეხუთედ იწყებს ახალ სასწავლო წელს. ახალგაზრდა მასწავლებლები — მერი მაჭავარიანი და ეკატერინე სამჭკუაშვილი, ელენე მასწავლებელს გვერდით რომ ამოდგომიან, მისივე აღზრდილები არიან.

* * *

ვუცქერი მოზეიმე ბავშვებს, ბაღვენახებში ჩამჯდარ სოფელს და მახსენდება დიდი ქართველი გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის წიგნის — „აღწერა სამეფოისა საქართველოსი“ — ერთი მშვენიერი ფრაზა: „არს ესე მარტყოფი ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა, ვითარცა საგურამო ჰავითა მშვენი“. მართლაც, მშვენიერია ხუთ კილომეტრზე გაჭიმული სოფელი მარტყოფი, ლამაზი ორსართულიანი ქვითკირის სახლები, კარგად მოვლილი ბაღ-ვენახები, მშვენიერი კულტურის სახლი, ჯანმრთელობის, კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, სავაჭრო თუ სხვა საჭირო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შენობები ნათელყოფენ აქაურ მცხოვრებთა კულტურულ და შეძლებულ ცხოვრებას.

... ეს ძველთა-ძველი სოფელი დიდ გავლენას ახდენდა კახეთის სამეფოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე. აქ სკოლა მეექვსე საუკუნეში ღაარსდა ანტონ მარტყოფელის მონასტერთან, სადაც მხოლოდ დიდ მოხელეთა და სასულიერო პირთა შვილები სწავლობდნენ.

„1752 წლამდე, — წერს თავის წიგნში — „მარტყოფის წარსული და აწმყო“ (გვ. 89) აკაკი მათიაშვილი, — მარტყოფის მონასტერთან არსებობდა ორკლასიანი სასწავლებელი. მონასტერთან სასწავლებელი კვლავ გაიხსნა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. 1902 წელს სამრევლო სკოლის გამგე-მასწავლებელი კვლავ ბერი გერმანე იყო...“

სწავლა სახალხო-საყოველთაო კუთვნილებად მხოლოდ მას შემდეგ იქცა, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

ამჟამად მარტყოფში 3 დაწყებითი, 1 რვაწლიანი და 1 საშუალო სკოლაა, სადაც 1500-ზე მეტი ბავშვი სწავლობს. მათ აღზრდას 100 მასწავლებელი ემსახურება, რომელთაგან 90 პროცენტი ადგილობრივი მკვიდრია. ამ სოფელში დაამთავრეს საშუალო სკოლა მერი მაჭავარიანმა, ეკატერინე სამჭკუაშვილმა, ანა ეპიტაშვილმა, ანა და მარიამ კახურაშვილებმა, მარიამ ჯერნაშვილმა, მერე კი უმაღლესი განათლება მიიღეს და მშობლიურ სკოლას მასწავლებლებად დაუბრუნდნენ.

ამ სკოლაში აღიზარდა ბევრი სახელოვანი მამულიშვილი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა.

...აქ, თავის დედულეთში, იზრდებოდნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი ივანე ბერიტაშვილი, აწ განსვენებული კინოდოკუმენტალისტი ირაკლი კანდელაკი და მრავალი სხვა.

აქ ისწავლა სამშობლოს სიყვარული და მშობლიური ხალხის ერთგულება იმ 2000-მა გულანთებულმა ჭაბუკმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში სამშობლოს პირველი დაძახებისთანავე წავიდნენ და თავიანთი მამულიშვილური ვალი ჯეკუაცურად მოიხადეს, რომელთაგან 950 ომის შორეულ გზებზე დაუღამდა... სკოლის ახალ შენობაში მოწყობილი შინმოუსვლელთა სტენდიდან ცოცხლად იმზირებიან ომში დაცემულ ვაჟკაცთა სახეები და მომავალ თაობებს სამშობლოს ჰეშმარიტ სიყვარულს უსიტყვოდ შთააგონებენ.

გიორგი გოჩიტაშვილი

ქართული ჟურნალისტიკის მეკვლე

სერგეი მესხის გარდაცვალების 90 წლისთავის გამო



იშვიათია ჩვენში ისეთი ოჯახი, რომელსაც საზოგადო საქმისათვის იმდენი თავდადებული ადამიანი აღეზარდოს, რამდენიც სიმონ მესხის ოჯახმა აღუზარდა საქართველოს — სერგეის, კოტეს, ეფემიას, დავითისა და ივანეს სახით სახელგანთქმულმა ოჯახმა დიდი მამულიშვილები მისცა ჩვენს სამშობლოს. სწორედ ამიტომაც ქართველი ხალხი ყოველთვის კეთილად მოიხსენიებს ამ შესანიშნავ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი მახვილი კალმით თუ სცენიდან წარმოთქმული მართალი სიტყვით ბრწყინვალე ფურცლებით შეამკეს ქართველი ერის მატიანე.

მრავალმხრივ საყურადღებო და ვრცელია სერგეი მესხის საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფერო. იგი იყო შესანიშნავი რედაქტორი და პუბლიცისტი, მშობლიური კულტურის თავდადებული მსახური, თვითმყრობელობის მარწუხებში მგმინავი მცირე ერების უშიშარი ქომაგი და მშრომელი ხალხის განათლების მებაირაღტრე.

დიდი დრო გავიდა სახალხო საქმისათვის კვარივით ანთებული ადამიანის გარდაცვალებიდან, ბევრი რამ შეიცვალა ამ 90 წლის მანძილზე ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ კვლავაც დიდია ამ ადამიანის პატივისცემა ჩვენში.

...საბჭოთა სამშობლოსთან ერთად ხარობს პატარა სოფელი რიონიც, რომელსაც ადრე საუკუნეთა ნაღველით აზიდული ხვამლის მთა დაჰყურებდა და ბობოქარი რიონი ხან უნელებდა სევდას თუ ვარამს, ხან კიდევ უფრო უმწარებდა სიცოცხლესა და არსებობას. დღეს კი ახალი ცხოვრების მზე დაჰკაშკაშებს ხვამლს, რიონიც ზღვად დაგუბებულა, მშვიდად ლივლივებენ მისი ტალღები და ელნათურებით აკიაფებენ იმ არემარეს.

სოფლის შუაგულში აღმართულა რიონის საშუალო სკოლის ორსართულიანი თეთრი შენობა, რომელიც ქართული პრესის ფუძემდებლის სერგეი მესხის სახელს ატარებს. მისი სანდომიანი სახე, მამულზე ფიქრით ანთებული თვალები აღბეჭდილია სურათზე, სკოლის შესასვლელთან რომ ჰკიდია.

სოფელ რიონის მშრომელები დიდი პატივისცემით იხსენიებენ თავიანთ სახელოვან წინაპრებს:

„საზოგადოდ ღირსშესანიშნავია ამ მესხების სახლობა, — წერს იაკობ მანსვეტაშვილი, — მათი ნიჭიერება. რამდენი შესამჩნევი მოღვაწე მისცა ქართველებს ამ ერთმა კოტეს ოჯახმა. კოტე ხომ ვიცით, ახლა აიღეთ მისი უფროსი ძმა სერგეი. ეს იყო დამაარსებელი და პირველი რედაქტორი ქართული გაზეთი „დროებისა“; მეორე ძმა, დათიკო მახვილი კალმის პატრონი იყო, იმის ფელეტონებს დიდი სიამოვნებით ვკითხულობდით, მესამე ძმა, ივანე, საზღვარგარეთ სწავლამიღებული, ერთგული საზოგადო მოღვაწე გახლდათ და ბათუმის თვითმმართველობის წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღვის. ამათი და ეფემია, გებნერის მეუღლე, ხომ ერთი საუკეთესო დრამატული არტისტი ქალი იყო, ქართული სცენის დამამშვენებელი“.

ამ კრისტალური პატიოსნების მქონე ოჯახმა ქართულ მწერლობასა და თეატრს შესძინა ადამიანები, რომლებმაც მთელი თავიანთი შეგნებული და შინაარსიანი ცხოვრება ხალხის გათვითცნობიერებას, მისი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ეროვნული კულტურის წინსვლის დიად საქმეს მოახმარეს. უველაზე მეტად ეს უნდა ითქვას სერგეი მესხზე, რომელიც ადრე ჩაება საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის დაწყებულ ბრძოლაში. მისი სახელი თავიდანვე დაუკავშირდა გაზეთ „დროებას“, პერიოდულ ორგანოს, რომელმაც გაბედულად აღმართა დროშა ეროვნული კულტურის წინსვლა-აყვავებისათვის. „თოთხმეტი წელიწადი მუშაკად უდგა ჩვენს მწერლობასა, მას მოუტანა სერგეი მესხმა მსხვერპლად თავისი სიყმაწვილე, თავისი გონებისა და სხეულის ძალ-ღონე, თავისი ცხოვრების მოსვენება და, ბოლოს, პირველი და უკანასკნელი საუნჯე ყოველის კაცისათვის—ჯანის სიმრთელე“. — ახასიათებდა სერგეი მესხის მოღვაწეობას მისი უახლოესი მეგობარი, თანამოკალმე და პირველი ბიოგრაფი პეტრე უმიკაშვილი.

რუსეთის მოწინავე მოაზროვნეთა ტრადიციებზე აღზრდილი 21-23 წლის სერგეი მესხი სათავეში ჩაუდგა გიორგი წერეთლის „დროებას“ და წლების მანძილზე თავდადებით ხელმძღვანელობდა. ჭეშმარიტად მართალი იყო ცნობილი ჟურნალისტის, პოეტის, დრამატურგისა და მთარგმნელის დავით მესხის სიტყვები თავისი ძმის შესახებ: „სერგეი მესხს პირდაპირ გმირობად უნდა ჩაეთვალოს, იმ დროისა და გარემოების მიხედვით, თოთხმეტი წლის განმავლობაში გაზეთის ძიძაობა“, რის შედეგადაც ყოველკვირეული გაზეთი ჯერ სამდღიური გახდა, მერე კი ყოველდღიურიც.

სერგეი მესხი მოხსენიებულია აგრეთვე ქართული ლიტერატურის რეალისტური სკოლის ღირსეულ წარმომადგენელთა შორის. „იგი 60-იანი წლების მოღვაწეთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც არ იყო კმაყოფილი აღნიშნულის ეპოქის „რეფორმებით“ და რომელმაც 1869 წელს ახალი ჯგუფი ჩამოაყალიბა. ამ ჯგუფის მეთაურები იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვები“.

„სერგეი მესხი დაიბადა 1845 წლის 12 ოქტომბერს სოფელ რიონში (ქუთაისის მახლობლად) ღარიბი აზნაურის ოჯახში. მისი მამა, სიმონი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ნასწავლი იყო და ღარიბ მოხელედ ითვლებოდა. დედა სერგეისა, მაგდალინა, მარჯანიშვილის ქალი იყო“. იგი საკმაოდ განათლებული ყოფილა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მიუღია სერგეის პირველდაწყებითი განათლება, ხოლო საშუალო განათლებისათვის 1856 წელს ქუთაისის გიმნაზიაში შესულა.

1863 წელს 18 წლის სერგეი მესხი უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგს ჩავიდა და უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ეს იყო პერიოდი, როცა პეტერბურგში რევოლუციური სიტუაცია რეაქციის სუსხით შეიცვალა. ჩერნიშევსკი დაპატიმრებული იყო, მაგრამ სხვა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებზე კვლავ იზრდებოდა რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა. მათ რიცხვში იყო სერგეი მესხიც, რომლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა და რუსეთის ბუნებისმეტყველთა მოძღვრების გაცნობამ. ჩერნიშევსკის მოძღვრება მესხის მსოფლმხედველობის ერთერთ იდეურ წყაროდ იქცა.

რუსეთში მყოფ ქართველ ახალგაზრდობასა და მათ შორის სერგეი მესხსაც საქართველოდან თან მოჰყვებოდა გარკვეული ინტერესები. იგი გამომუშავებული იყო საქართველოს თავისებური სოციალურ-ეკონომიური და იდეურ-პოლიტიკური პირობების ზეგავლენით, რაც ეროვნული გაერთიანებისა და განთავისუფლების სურვილით გამოიხატებოდა. ამავე დროს ქართველ ახალგაზრდებს ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი ქართული მწერლობის დემოკრატიული ტრადიციები. რუსული ლიტერატურა კი აფართოებდა მოწინავე ქართველ ადამიანთა მსოფლგაგებას, მათ შეგნებას, მათ დემოკრატიულ და პატრიოტულ მისწრაფებას.

სერგეი მესხის პირველი ბიოგრაფი პეტრე უმიკაშვილი მკაფიოდ გვისურათხატებს „დროების“ როლს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში: „დროება“ იყო ერთადერთი დრო-გამოშვებითი გამოცემა, — რომელიც აგერ ჩვიდმეტი წელიწადია გამოდიოდა შეუწყვეტლად, იგი, როგორც გაზეთის წესია, ვალდებული იყო ჩვენს მუდამ დღიურ ცხოვრებას თავს დასტრიალებოდა, აღენიშნა ცხოვრების მოვლინება და მიეცა მკითხველის მხედველობისათვის ახსნა და ხელსამძღვანებელი მიმართულება. ამას მომატებული შრომა, ცოდნა, მოხერხება და გამოცდილება უნდოდა, მეტადრე მის გამო, რომ ჩვენს ღარიბ ცხოვრებაში და ღარიბ ლიტერატურაში გაზეთი ახალი საქმე იყო. მართალია ერთი მწერალი არ მოიპოვება ჩვენში, რომ „დროებაში“ მონაწილეობა არ ჰქონდეს, ან ხანგრძლივი, ან მცირეხნობით: უველანი ეწეოდნენ მას, მაგრამ მუდამ გვერდმდგომი, გაზეთის მუდამ დღიურის უოველგვარი შრომის მტვირთელი ცამეტ-თოთხმეტ წელს მარტო სერგეი მესხი იყო, კვირის კვირობამდის, თვითვეობამდის, დღენიადაგ უძილობა, მუდამ რკინის მტვერში ყოფნა... ვერც ერთი თქვენთაგანი იმ ჯაფას და თავგანწირულებით ბრძოლას ვერ წარმოიდგენს“.

დიახ, განუწყვეტელმა შრომამ ადრე გატეხა სერგეი მესხის ჯანმრთელობა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 38 წლისა, იმსხვერპლა. სერგეი აბასთუმანში გარდაიცვალა 1888 წლის ზაფხულში მისი უმცროსი ძმის, მწერალ დავით მესხის ხელზე. იგი დაკრძალეს მშობლიურ სოფელ რიონში. მის საფლავს ამკობს ჩვენი სახიქადული მგოსნის აკაკის ეპიტაფია:

„სამაგალითო მოღვაწევ,
ერთგულო შვილო ქართვლისა,
რწმუნება გქონდა მომავლის,
გიყვარდა ძებნა მართლისა.
მაგრამ უდროოდ გაგვიქრი
ერთი ძმა პირველთაგანი,
საფლავში წაგუვა ნატვრის
თვლად
ხსნის იმედისა საგანი!
აქ კი დაგვიგდე ანდერძად,
კვალში რომ ჩავყვეთ იმ
თქმულსა...
ამინ! მსხვერპლი ვართ იმ
აღქმის,
კიდობნად მივსცემთ ჩვენს
გულსა!“...

ამ სტრიქონებში კარგად არის გამოკვეთილი სერგეი მესხის ხანმოკლე ცხოვრება, მისი პატრიოტული სული, როლი და მნიშვნელობა მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში.

გივი მეფისაშვილი

საქართველოს მეგობარი

ქართველოლოგი ჰანს ფოგტი 70 წლისაა

ნორვეგიისა და დანიის გაზეთები იუწყებიან, რომ ენათმეცნიერს, ცნობილ კავკასიოლოგსა და ქართველოლოგს, პროფესორ ჰანს ფოგტს 70 წელი შეუსრულდა.


ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი ჰანს ფოგტი ამჟამად არის ამავე უნივერსიტეტისა და ცივილიზაციის შედარებითი კვლევის ოსლოს ინსტიტუტის, ნორვეგიის ლინგვისტიკის ინსტიტუტისა და საენათმეცნიერო საზოგადოების წამყვანი მუშაკი.

ჰანს ფოგტმა ქართული ენის გრამატიკით (ოსლო, 1936 წელი), რომელიც ფრანგულ ენაზე გამოვიდა, მოიპოვა მეცნიერების დოქტორის ხარისხი; იგივე ნაშრომი, გადამუშავებული სახით, 1971 წელსაც გამოქვეყნდა.

ევროპელ მეცნიერთა შორის ჰანს ფოგტი არის ქართული ენის არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც საუკეთესო მცოდნე. ბევრს, ალბათ, ახსოვს, რომ იგი დახვეწილი ქართულით გამოვიდა ჩვენი უნივერსიტეტის საიუბილეო ზეიმზე, აგრეთვე რუსთაველის საზეიმო-საიუბილეო სხდომაზე 1966 წელს თბილისში.

როგორც კავკასიური ენების მცოდნემ, ჰანს ფოგტმა სახელი გაითქვა უბიხური ენის მასალების გამოკვლევითა და ლექსიკონით, რომელიც მან სანიმუშოდ გამოსცა ოსლოში 1963 წელს ფრანგულ ენაზე.

ჰანს ფოგტი დაიბადა 1903 წლის 6 იანვარს. კლასიკური



რომანული ენები და შედარებითი ინდოევროპული ენათმეცნიერება ოსლოს უნივერსიტეტში შეისწავლა, ინდოევროპული ენების შედარებითი გრამატიკა კი — პარიზში; აქვე გამოაქვეყნა მან ნაშრომი სომხური ენის შესახებ. ქართულსა და კავკასიურ ენებს იგი თბილისში დაეუფლა (1932-1933 წლებში); ზოგადი ენათმეცნიერება კი ამერიკის შეერთებულ შტატებში შეისწავლა. ჰანს ფოგტი სწავლობდა აგრეთვე ამერიკელი ინდიელების ენებს, ტექსტებს იგი ადგილზევე აგროვებდა; ლათინურის, ძველი ბერძნულის, ძველი და ახალი ქართულისა და სომხური ენების გარდა, მეცნიერი უბიხური, ვერშიკული, ოსური, ბასკური და ნორვეგიული ენების ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ისტორიის არაერთ საკითხსაც შეჰხებია.

ქართული გრამატიკის ზემოხსენებული ორი გამოცემის გარდა, მეცნიერის კალამს ეკუთვნის ფრანგულად გამოქვეყნებული და უკვე ქართულ ენაზეც ნათარგმნი ნაშრომები: „ქართული ენის გრამატიკის სტრუქტურა“ (ოსლო, 1958 წელი; თბილისი, 1961 წელი), „ქართული ენის წინა ისტორიის საკითხები“ (თბილისი, 1964 წელი), „ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში“, „ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში“ და ასე შემდეგ.

ჰანს ფოგტმა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულს ჩვენი დროის ერთერთოვან ლექსიკონთა შორის შესანიშნავი მონუმენტი უწოდა. იგი, მეცნიერის სიტყვებით, არის „აღმართული ქართული ენისა და ათასხუთასწლოვანი ლიტერატურის სადიდებლად“...

ჰანს ფოგტს არასოდეს არ გამორჩება, თუ რა იბეჭდება ქართველოლოგიაში.

იგი თავის თავზე მოკრძალებულად წერს: „დიდად მოხარული ვარ, ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში მცირედი წვლილი რომ მეც მიმიძღვის, ყოველთვის სიამოვნებით ვბუშაობდი ქართველოლოგიაში, ჩემი (სათანადო) შრომები... ქართველი ხალხისადმი ჩემი სიყვარულის გამოსახულებაა“.

სახელოვან მეცნიერს ჯანმრთელობას და ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ სამეცნიერო მოღვაწეობასა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

პროფესორი
იოსებ მეგრელიძე

იუგოსლავურ „ქორწილს“ საქართველოში იღებენ



დოვუენკოს სახელობის და ტიტოგრადის „ფილმსკი სტუდიოს“ (იუგოსლავია) კინოსტუდიების შემოქმედებითი კოლექტივები ერთობლივად იღებენ ახალ ფერად მხატვრულ ფართოეკრანიან ფილმს „ქორწილს“ იუგოსლაველი მწერლის მიხაილ ლალიჩის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. ფილმისათვის სცენარი დაწერეს მილორად ბოშკოვიჩმა, რადომირ შარანოვიჩმა და ვიქტორ გოვიადმა, დამდგმელი რეჟისორია რადომირ შარანოვიჩი, ოპერატორი — ვადიმ ილიენკო, რეჟისორი — ვიტოლდ იანპავლისი, მხატვარი — ანატოლ მამონტოვი.

ნაწარმოებს საფუძვლად დაედო შემთხვევა, რომელიც მოხდა იუგოსლავიაში მეორე მსოფლიო ომის დროს. ფილმი მოგვითხრობს ჩერნოგორელი პარტიზანების გმირულ ბრძოლაზე გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ 1942-1943 წლებში.

ფილმში მონაწილეობენ პოპულარული იუგოსლაველი და საბჭოთა მსახიობები: დრაგომირ ბოიანიჩი, მიხაილო და სვეტლანა იანკეტიჩები, ვლადიმერ პოპოვიჩი, მილო მირანოვიჩი, ჩედო ვუკანოვიჩი, იოვან ნიკჩევიჩი, დუშან ბულატოვიჩი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ვლადიმერ ტოტოსოვა, ვალენტინ ნიკულინი, ვაცლავ დვორუეცკი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ზურაბ ქაფიანიძე, ალექსანდრე კუპრაშვილი, ვახტანგ მახელიძე, აბესალომ ლორია, დავით ხუციშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მიხეილ ვაშაძე და სხვები.


აგვისტოში ფილმს იღებდნენ არაგვის ხეობის თვალწარმტაც ადგილებში, უინვალიდან სამ კილომეტრზე. ეხლა გადაღებას განაგრძობენ იუგოსლავიაში, ხოლო ოქტომბერში—კიევის კინოსტუდიის პავილიონებში.

„ქორწილი“ უკრაინელი და იუგოსლაველი კინემატოგრაფისტების პირველი ერთობლივი ნამუშევარი როდია. მათ შექმნეს მხატვრული ფილმები „შემოწმებულია, ხალმები არ არიის“, „ყველაფრის საწინააღმდეგოდ“ და სხვა, რომლებსაც წარმატებით აჩვენებდნენ როგორც ჩვენთან, ისე იუგოსლავიაში.

სურათზე: იღებენ „ქორწილს“—შუაში მსახიობები ზურაბ ქაფიანიძე და დრაგომირ ბოიანიჩი.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

ქართულ-გერმანული დიდი ლექსიკონის პირველი ნაკვეთი



ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის ცნობილია („სამშობლო“, 1972 წ. 9 ივნისი, გვ. 5), რომ ციურიხში ქვეყნდება კიტა ჩხენკელის (1895-1963) მიერ შედგენილი **„ქართულ-გერმანული ლექსიკონი“.**

წელს გამოქვეყნდა ლექსიკონის 24-ე ნაკვეთი (ნ-ჯ, გვ. 2171-2266), გამოცემას უძღვება იოლანდა მარშევი. ნაკვეთი ისევე მაღალ აკადემიურ დონეზეა შესრულებული, როგორც წინანდელი ნაკვეთები.

კერამიკის ახალი ფერები

დედამიწის სფერო, გარშემო მშვიდობიანი მოწმენდილი ცა, მტრედები... ქვემოთ წარწერაა: „მოსკოვი, ოქტომბერი, 1973 წელი“. ეს არის ესკიზი სუვენირისა, მიძღვნილი მშვიდობისმოყვარე ძალების კონგრესისადმი, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე გაიმართება მოსკოვში. ესკიზის ავტორია თბილისის სამშენ მასალათა კომბინატის მთავარი მხატვარი მურთაზ ბაბაშიძე.

კომბინატის მხატვრული კერამიკის საამქროში მურთაზ ბაბაშიძის ხელმძღვანელობით შექმნილია კერამიკულ ნაკეთობათა ორმოცამდე ახალი ნიმუში. ეს არის საყვავილე ლარნაკები, სურები, საფერფლეები და სხვა საოჯახო საგნები, სუვენირები. ისინი გამოირჩევიან მრავალფეროვნებით, მოხდენილი ფორმითა და ხაზებით, ორიგინალური ორნამენტით.

კომბინატის კერამიკული ნაკეთობანი ცნობილია საზღვარგარეთ. ისინი ექსპონირებული იყო საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იაპონიაში, ჩეხოსლოვაკიასა და სხვა ქვეყნებში.

გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეოდ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სიტყვითა და მოგონებით გამოვლენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ალექსანდრე ბარამიძე, დემნა შენგელაია, გიორგი ჯიბლაძე და წევრ-კორესპონდენტი შოთა ძიძიგური.

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი გალაკტიონ ტაბიძის იუბილეს მიუძღვნიან ერთობლივ საიუბილეო-სამეცნიერო სესიას, რომელიც ორ დღეს გასტანს. სხდომები გაიმართება უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში.

ახალგაზრდობის ზეიმზე

ახალი სასწავლო წლის დაწყებას მიეძღვნა მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის დიდი ზეიმი, რომელიც 10 სექტემბერს გაიმართა გამარჯვების პარკში საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომისა და გამარჯვების კულტურისა და დასვენების პარკის დირექციის ინიციატივით.

მთელი პარკი საზეიმოდ იყო მორთული, ახალგაზრდებს იზიდავდა წიგნებით, გრამფირფიტებითა და ყვავილებით ვაჭრობა, რომელიც ცენტრალურ შადრევანთან გაემართათ.

საღამოს კინოსტრადაზე გადაინაცვლეს ზეიმის მონაწილეებმა. სცენაზე იყვნენ პროფესორ-მასწავლებლები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, კომკავშირის პრემიის ლაურეატები, მსოფლიო ფესტივალის და უნივერსიადის მონაწილენი, მეუღმირეები.

საზეიმო სხდომა გახსნა კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ბაქრაძემ, მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. გოჩალეიშვილი, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ი. შენგელია, 102-ე საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, შრომითი ბრიგადის წევრი მ. ბალთანიშვილი, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა X ფესტივალის მონაწილე გ. იაშვილი, ვეტერანი კომკავშირელი ტ. მამალაძე.

საზეიმო ნაწილის შემდეგ კინოესტრადაზე გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტისა და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა თვითმოქმედი კოლექტივები მონაწილეობდნენ.

სტუმრად... ქართული ცეკვა



უკვე თექვსმეტი წელიწადია, რაც მოსკოვში მშენებელთა კულტურის სახლთან არსებობს ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „კოლხიდა“. ეს ანსამბლი და ბაბუშკინის რაიონის პიონერთა სახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდიის „ივერიის“ წევრები ეწვივნენ საქართველოს დიდი საგასტროლო ტურნეში. გასტროლები ცეკვის ახალგაზრდა მოყვარულებმა ბათუმიდან დაიწყეს და შემდეგ რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებსაც ეწვივნენ.

შეუძლებელია არ გაოცდეთ, როცა ამ მოცეკვავეებს უცქერით. თვალუწუნუნა რუსი გოგონები და ბიჭუნები მთელი გატაცებით, ნამდვილი ქართული ტემპერამენტით ასრულებენ ამა თუ იმ ქართულ ცეკვას და დამსწრეთა ერთსულოვან აღტაცებასა და მოწონებას იმსახურებენ. ანსამბლს რეპერტუარში აქვს „დავლური“, „ყაზბეგური“, „ოსური“, „ჭალო, ნარინჯიანო“, „ქალთა ხევსურული“, „ნარნარი“, „ლაზური“, „განდაგანა“, „ფერხული“, „ხორუმი“..

ანსამბლ „კოლხიდას“ დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელია რევაზ ჯანიაშვილი. ანსამბლის გასტროლები ჩვენს რესპუბლიკაში დიდი წარმატებით გრძელდება.

სპორტული ქრონიკა

თეირანში მოპოვებული ოქრო

ბეჭდაუდებელმა ფალავანმა ლევან თედიაშვილმა ამჯერად თეირანში გამართულ მსოფლიო პირველობაზე მოიპოვა ჩემპიონის ტიტული სპორტული კომენტატორები, რომლებიც ამ ასპარეზობას დაესწრნენ, აღნიშნავენ — მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მის მეტოქეებს მხოლოდ ერთი საზრუნავი ჰქონდათ — წმინდათ არ დამარცხებულიყვნენო.

ქავკასიის ჩემპიონები

ყაბარდო-ბალყარეთის ულამაზეს მდინარე ბაქსანის ხეობაში გაიმართა ქავკასიის მეცალდეურთა ტრადიციული ჩემპიონატი. ქალთა შორის ჩემპიონის სატიტო სახელი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატმა იულია თუმანიშვილმა მოიპოვა, თბილისის განათლების განყოფილებასთან არსებული მოზარდ მთამსვლელთა სპორტსკოლის აღსაზრდელი თამაზ გივიტაშვილი მეორე იყო მოზარდთა შორის.

რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში ვაჟთა შეჯიბრება გახლდათ. 140-მეტრიანი, ძალზე რთული ტრასა 36 მონაწილიდან მხოლოდ 16 გაიარა. საქართველოდან შეჯიბრებაში გამოდიოდა სპორტის ოსტატი ირაკლი გელდიაშვილი და ახალგაზრდა სპორტსმენი ნოდარ დიდებულიძე. დაძაბულ ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა ქავკასიის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს.

ნორჩ ფეხბურთელთა წარმატება

ტყიბულის სტადიონებზე რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ჩემპიონატი. ფინალში კიევის „დინამოს“, ლვოვის „სპორტინტერნატისა“ და ირკუტსკის „აეროფლოტის“ გარდა, თბილისის სამი გუნდი — „დინამო“, განათლების განყოფილების სპორტსკოლა და ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა მონაწილეობდა. ასპარეზობა თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის ფეხბურთელთა სრული უპირატესობით წარიმართა, ნორჩი სპორტსმენები მხოლოდ ერთ შეხვედრაში დასჯერდნენ ფრეს, დანარჩენი მოიგეს და ფინალური მატჩების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაიწყდეს პირველი ადგილი. თბილისელები ჟიურიმ ყველაზე ტექნიკურ და ყველაზე კორექტულ გუნდად აღიარა.

ჩემპიონები საქართველოდან

დნეპროპეტროვსკში გამართულ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების პირველ საკავშირო შეჯიბრებაზე ფრენბურთში დიდ წარმატებას მიაღწია საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა. ცხრაჯერ გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები სარბიელზე და ცხრაჯერვე გამარჯვებულებმა დასტოვეს მოედანი.

კვლავ ნანა

პროფკავშირების მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობაზე, რომელიც ოდესაში გაიმართა, თავი ისახელა ნანა ალექსანდრიამ. ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონმა კვლავ დაამტკიცა, რომ იგი ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეა. ძლიერ მეტოქეებთან ჰიდილში ნანამ პირველი ადგილი მოიპოვა.

ნიჩბოსანთა კარგი სტარტი

სასიხარულო დეპეშა მოვიდა რიგიდან: საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა ორჩხომელებით ნიჩბოსნობაში სსრ კავშირის ჩემპიონობა და ოქროს მედლები მოიპოვა.

მშობლიურო ჩემო მიწავ!

რევაზ მარგიანი

შენ გინახავს სვანეთი?

შენ გინახავს სვანეთი —
შემოსილი მწვანეთი,
ჩემი ეზო პატარა,
ჩემი კოშკი მაღალი,
მუხა დაბერებული,
ტოტებმოღერებული,
ძველებური სიმღერა —
ჩემთვის მუდამ ახალი?
შენ გინახავს სვანეთი —
მთები დათოვლილები,
ჩემი კალო პატარა —
ყურშას ერთი ნახტომი,
შენ გსმენია ჰანგები —
ჩანგზე აწყობილები,
მონადირის გულიდან
გრგვინვად ამონახდომი?
შენ გინახავს ყანები —
გაფენილი ხალიჩა,
ანდა მოგისმენია
სიმღერები მთიბლური?
შენ გინახავს თავშალი
ერთი ლამაზ ქალისა,
როგორც დალის დალალი —
კლდეზე ჩამოკიდული?
შენ გინახავს შუაღამით —
ვარსკვლავების ციმციმი,
მობიბინე ჯეჯილები —
შემოსილი მწვანეთი?
მე, მთიელი, ქალაქში ვარ,
მხოლოდ მაშინ ვიცინი,
როცა შენთან მაგონდება
ჩემი ტკბილი სვანეთი.



სვანური კოშკები

ამბობენ, მსოფლიოში 7 საოცრებაა. როდესაც ჩამოთვლით საოცრებებს, მიხვდებით, რომ ცივილიზებულ სამყაროს 7 საოცრებაც აქვს და თოთხმეტიც, ასიც და ათასიც...

ბევრი თვალწარმტაცი რამ შექმნა ბუნებამ, უფრო მეტი — ადამიანის ხელმა.

მე სვანური კოშკები მაჯადოებენ, თეთრი სვანური კოშკები: ვიწრო და ყელყელა, ცისკენ ატყორცნილნი, სქელფუძიანნი, მიწაზე მტკიცედ მდგარნი, თაღოვანნი, სარკმლებითა და სათოფურებით, მაჩუბებითა და კოპწია სახლებით... კოშკები მრავალნაირნი, მაგრამ ყველა თეთრი, ამაყი და უდრეკი.

სვანური კოშკი ლამაზია ყოველთვის, ყოველგვარ ამინდში, ყველა წერტილიდან: სადმე, დიდი გზიდან მოშორებული, პატარ-პატარა შენობებით გარშემორტყმული, დგას როგორც შეუვალი ციხესიმაგრე. მაგრამ მაინც, კოშკი, ცალკე მდგარი, ისეთი ლამაზი არ არის. როცა კოშკები ბევრია და მთის კალთაზე შვრიის ყვითელ-ყვითელ მინდვრებს შორის დაფანტული, მათი სილამაზე ენით აუწერელია. თვალს ვერ მოსწყვიტ ამ მშვენიერ სანახაობას. ნეტავი არის ქვეყნად სვანეთზე ლამაზი ადგილი? არის, ალბათ. მაგრამ ჩემთვის, არა...

მე თავდაპირველად გავემგზავრე შორს, როგორც ჩვეულებრივად გამოუცდელ ადამიანებს ემართებათ. რატომღაც მეგონა, რომ რომანტიკული მხარე უთუოდ ჩემი სახლიდან შორს, ცხრა მთას იქით უნდა ყოფილიყო. ის კი თურმე ჩემს გვერდით არის, ჩემს მშობლიურ მიწაზე, იმ მთების კალთებზე, რომლისკენაც მიისწრაფიან გამოცდილი, ყველაფრისმნახველი მოგზაურები, რომლებმაც ეგზოტიკის ფასიც იციან და სილამაზისაც. შეიძლება ისინი მრავალი წელიწადია შემოგვნატრიან ჩვენ, ვისაც სურვილისთანავე შეუძლია ნახოს ეს ზღაპრული და საოცრად ლამაზი მხარე. ნახოს და აღფრთოვანების ძახილი აღმოხდეს.

...მე შორს მივემგზავრებოდი, მარგალიტი კი აქვე ყოფილა! რამდენ ჩემს თანამემამულეს უნახავს სვანეთი (და მარტო სვანეთი?) მხოლოდ ფოტოსურათებზე, წაუკითხავს და მისი სადღეგრძელო შეუსვამს... დაუსწრებლად. რომ შეიცნო, საკუთარი თვალით უნდა ნახო, რომ შეგიყვარდეს, საკუთარი ხელით უნდა მოსინჯო თეთრი კოშკების კიდლები; რომ ხელში ყანწით ნათქვამი ფუშ სიტყვებად არ დარჩეს, უნდა შეგეძლოს ციხის ჩამონგრეულ კიდეში ქვა გასწორო...

სამშობლოს სიყვარული უსამშობლოდ, უსაგნოდ, საერთოდ, შეუძლებელია. სიყვარული ყოველთვის კონკრეტულია, ყოველთვის რაღაცისკენ მოგვიწოდებს, რაღაცას გვავალებს. ნეტავი იცოდნენ კი ჩვენმა წინაპრებმა, რომ მრავალი საუკუნის შემდეგ მათი შთამომავლები ესოდენ დაფასებდნენ ნატიფ კოშკებს, ციხესიმაგრეებს, ტაძრებს? ალბათ, იცოდნენ და ამიტომაც აგებდნენ მკვიდრად და ლამაზად. სვეტიცხოველი და გელათი, ჯვარი და გრემი, უფლისციხე და ვარძია, რამდენი საუკუნეა ისინი დგანან?

შედარებით პატარა საქართველომ მრავალსაუკუნოვანი ტრაგედიისა და სისხლის ფასად შექმნა და შეგვინახა თავისი თვითმყოფადობა, თავისი სახე, თავისი ხასიათი. ჩვენ ღირსნი უნდა ვიყოთ ჩვენივე ისტორიისა, იმისა, რაც აქამდე მოგვიტანეს წინაპრებმა.

დღევანდელი ტექნიკა გრანდიოზული ნაბიჯებით მიდის წინ. ოსტანკინოს ტელეკოშკისა და ცათამბჯენების საუკუნეში ვერავის გააკვირვებ 30-მეტრიანი სვანური კოშკებით. დიახ, ტექნიკა დღეს ის აღარ არის, მაგრამ სილამაზე, ჰარმონიის იდეალი ყოველთვის ხელუხლებელი დარჩება. სვანური კოშკები მუდამ გააოცებენ მნახველს ისევე, როგორც ჯორჯონეს „ივდითი“ და მიქელანჯელოს „დავითი“, რადგან სრულქმნილება ზომებზე არ არის დამოკიდებული.

სილამაზეს უნდა ხედავდე შორსა და ღრმად. სილამაზეს უნდა შეიგრძნობდე, ამის მიღწევა კი წლების ძიებითა და შრომით შეიძლება. რომ შეძლო ნილოსის და ევფრატის, სენისა და ტემზის სილამაზის შეფასება, მტკვრისა და არაგვის ჭალები უნდა გქონდეს ნანახი; რომ შეგეძლოს რომისა და ათენის ტაძრებით აღფრთოვანება, მშობლიური უშგულის, ვარძიისა და შატილის ჰარმონია უნდა გქონდეს სისხლში გამჯდარი... დიახ, მსოფლიო შეღერების ნამდვილი დაფასება საკუთარის შეცნობის შემდეგ ხდება.

დემურ კახურაშვილი

თქვენთვის, პატარებო!

კულა

ქეთევან ჭილაშვილი

ეგრე კი ნუ უყურებთ კულასა! სამი დის ნებიერი ძმაა, ნანინანატრი ბიჭი! რომ დაიბადა, ამის მამამ თოფით ისეთი ბათქაბუთქი ატეხა, მთელი სოფელი ფეხზე დადგა.

— ვაუიანობა მოგვილოცია, — ძღვენით მიადგნენ მეზობლები კულას მამას და სათითაოდ აუწიეს ყური.

— ფრთხილად, ხალხო, ემანდ ყურები არ დამაგლიჯოთ! — ხუმრობდა ოჯახის უფროსი და გულუხვ სუფრასთან ეპატიჟებოდა ყველას.

დედას ვიღამ დააცალა ნაბოლარა შვილის გაზრდა. დატრიალდნენ დები და ხელისგულზე დაისვეს ძმა — დიდმა დამ სოსანი ატლასის საბანი დაულიანდაგა, პატარამ დაწინწკლული ჩითის პერანგები თავისი ხელით სულ წმინდა გვირისტით ამოუკერა, შუათანამ აკვანი გაუმართა, ძამითათ; მაგრამ დახეთ! დიდი მოუვიდა, შიგ ლაღლაღებდა ბიჭი. — ფიქრი არ არისო,—დატრიალდნენ დები, ძმას ტანსაცმელი გახადეს, ზომები აუღეს და საკურავი გაახურეს... ერთმა შარვლის ტოტები დაუმოკლა, მეორემ — ქულჯა, მესამემ უთოთი გაატკაცინა და საღამოსთვის კულას ისეთი ფორმის ტანსაცმელი ჰქონდა, რომ სხვაც ბევრი ინატრებდა იმისთანას.

გათენდა სექტემბრის პირველი დილა! ისეთი მშვენიერი დარი იდგა, რომ მარტო იმ ჰაერის სუნთქვა ღირდა ერთ რამედ...

აიშალა კულაანთ საბუდარი. ჯერ გოგოები გაემზადნენ სასკოლოდ. ყველაფერი წინაღამით მოემზადებინათ — კაბებიც, წინსაფრებიც, თეთრი ტკიცინა ბაფთებიც... მერე ძმას მიხედეს.

კულა ფორმამ დაამშვენა. ჭამრის აბზინდა მზეზე უბზინავდა...

— ამას ვენაცვალე, ვაუკაცია უკვე! — მიესიყვარულა უფროსი და.

— აგრემც წამლად დაგედები! — ხელი მოხვია მხრებზე მეორემ.

— ყველას გვაჯობებს სწავლაში! — შუბლზე აკოცა მესამემ.

— არ იცით, რომ გაჯობებთ! — გაიფხორა კულა და ჩანთას წამოავლო ხელი.

— ჭუდი გავიწყდება, შვილო! — გაახსენა მამამ.

აქეთ ეცნენ დები, იქით ეცნენ, ძლივს იპოვეს — ზემოთაროს შემოედოთ. დაიხურა კულამ ჭუდი, მაგრამ... პატარა მოუვიდა, კინკრიახოზე ძლივს გაიჩერა. ბიჭს ერთი კი ამოუდუღდა გული და ხელიც წაივლო ჭუდის მოსასროლად, მაგრამ დებმა დაუტატანეს, ბიჭი სკოლაში ჭუდით უნდა წავიდესო, დედ-მამამაც დაუდასტურა — ფორმა იმისა არის, რომ ჭუდით უნდა იყოს დამშვენებული. კულას ჭკუაში დაუჯდა დარიგება და დებს სკოლისაკენ გაუძღვა.

— დაგელოცოთ გზა, შვილებო! — მიაცილებენ ჰიშკარს ბედნიერი მშობლები და სანამ შვილები ორღობეს არ მიეფარნენ, თვალს არ მოუშორებიათ.

მიდიოდა კულა, ერთი გაბერილი, ერთი გაბღენძილი, წამდაუწუმ ახალ ფეხსაცმელსა და შარვალზე იყურებოდა, ჭუდი კი ისე ედო კინკრიახოზე, თითქოს, ეს არის, გაფრენას ეპირებაო...

ᲔᲔ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲔᲘᲕᲓᲘᲕᲐᲠ

სკოლისათვის გემზადები,
ახლა უკვე დიდი ვარ,
დღეს პირველად,
სულ პირველად
მე სკოლაში მივდივარ.
ჩანთას ვეძებ,
წიგნებს ვეძებ,
არ ვივიწყებ არაფერს.
უჰ, რამდენჯერ სავსე ჩანთა
ისევ ამოვალაგე.
ფანჯარაზე ჭრელი კატა
წევს და ჩუმად კრუტუნებს.
ჩემს უცნაურ ორომტრიალს
ის შორიდან უყურებს.
ჭრელ კუდს იქნევს, ჭურდბაცაცას
ულვაშები უბზინავს,
თან დამცინის: ეგ ჩანთა ხომ
გასტენეო უშინაც...
სტყუი, ფისო, შემომხედე,
ახლა მართლა დიდი ვარ,
დამიჯერე,
დღეს ნამდვილად
მე სკოლაში მივდივარ.

ქეთევან ქუჩუკაშვილი

დაგეძებენ, მოგელიან

ალექსანდრე ზაქარიას ძე ჯოხაძეს,

დაბადებულს 1911 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში, ეძებენ: დედა — **ვარო**, მამა — **შაქრო**, მეუღლე — **მანანა**, შვილები — **ზოია, ნანული**, ძმები — **მიხეილი, ავთანდილი**, შვილიშვილები — **ალექსანდრე, თამილა, დინარა, მანანა, ნინო**, მცხოვრებნი გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში.

ლევან დავითის ძე ჩხაიძეს,

დაბადებულს 1914 წელს ლანჩხუთში, ეძებენ: მეუღლე — **თინა ინწკირველი**, ძმა — **კუკური**, მცხოვრებნი თბილისში, თემქის დასახლება, II კვარტალი, 29-ე კორპუსი, ბინა 39.

ხარიტონ იოსების ძე კუკულაძეს,

დაბადებულს 1910 წელს ლანჩხუთში, ეძებენ: შვილი — **ზაირა**, დები — **აგრაფინა, ნინუცა, ლეონინა, ქეთევანი, მარო კუკულაძეები**, მცხოვრებნი თბილისში, ჩაპაევის ქუჩა № 11.

იორამ იოსების ძე ბურკიაშვილს,

დაბადებულს 1919 წელს ყვარელში, ეძებენ: დები — **თინა, ანიკო, ცაცო**, ძმა — **ილო**, ძმისწული — **რუსიკო ბურკიაშვილები**, მცხოვრებნი ყვარელში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა № 43.

ივანე (თითიკო) ვასილის ძე მარღიშვილს,

დაბადებულს 1907 წელს ქარელში, ეძებენ: მეუღლე — **ნუში**, შვილები — **არშალოზ** და **ვერა**, ძმები — **ნიკო (დათა), იობა, იოსები**, და — **ნადია (ფოფა)**, მცხოვრებნი ქარელში, გოგებაშვილის ქუჩა № 6.

ვახტანგ შალვას ძე კუპატაძეს,

დაბადებულს 1921 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ეწერში, ეძებენ: დედა — **დარეჯანი (დარიკო)**, მამა — **შალვა**, ძმები — **ბეჟანი, ბესარიონი**, დები — **თინა, ნელი**, ბიძაშვილი — **პეტრე კუპატაძეები**, მცხოვრებნი სოფელ ეწერში.

რევაზ ვლადიმერის ძე ცაგარელს,

დაბადებულს 1921 წელს თბილისში, ეძებს დედა — **თამარ ცაგარელი**, მცხოვრები თბილისში, ლენინის ქუჩა № 3.

რედაქტორი *გივი კარგელაშვილი*

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488